ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## ვაზიანის ბაზაზე რიგითი ვაჟა შათირიშვილი დაიღუპა

— გვ. 3 —



შაბათი – კვირა, 8 – 9 სექტემბერი, 2018 №213 (7758) ფასი: 60 თეთრი

# „შველას ითხოვდა — ქალი იდგა ალმოდებულ სახლში ჩვილთან ერთად“



გვ.7



## „ქისტაურმა ესროლა ტორიაშვილს, შემდეგ კი არასრულწლოვნების თვალწინ ყელი გამოჭრა“





გვ.7

## „ქობულია ისევ მოსკოვში მუშაობს და დაუსწრებლად არის ეკონომიკის მინისტრი“



კახა მიქაია: „ივანიშვილმა ხეები დანიშნოს მინისტრებად, ხალხს მაინც არ მოუშლიან ნერვებს“



— გვ. 2 —



გვ.3

## ბექან ნათელაშვილი: „ხელისუფლების მომხრეები თავების მოჭრით გვემუქრებიან“

## ლევან ჩაჩუა: „ნამდვილი სტრესი ბიძინა ივანიშვილს მომავალში ელის“

გვ.4



## უკრაინული სპეცსამსახურები ხაჯიმბას და ბიბილოვის აფეთქებას აპირებდნენ

გვ.2



ეკონომიკა გვ.6



## რა გზით შეიძლება გაიაფდეს საქართველოში ბენზინი

## სახანძრო დეპოებში საბჭოთა ავტოპარკი ახლით ჩანაცვლდება



## ზეთსა და შაქარზე ფასის კლებამ ხორბლის ფასის მატება დააბალანსა



ISSN 1987-9385

**2** ქობულეთში 16 წლის გოგონა ძმის მიერ თოფიდან გასროლამ მოკლა

**3** „რუსეთიდან ხორბალს მანქანებით აღარ შემოატანინებენ“

**4** საქართველოში საზოგადოებრივ ადგილებში ჩადრით, ნიქაბით და ბურქით სიარული, შესაძლოა, ადმინისტრაციული წესით დასჯადი გახდეს

**7** ქართველმა დიზაინერებმა პარიზული შოურუმებიდან 220 ათასი ევროს პროდუქცია გაყიდეს

# „ქობულია ისევ მოსკოვში მუშაობს და დაუსწრებლად არის ეკონომიკის მინისტრი“

## კახა მიქაია: „ივანიშვილმა ხეები დანიშნოს მინისტრებად, ხალხს მაინც არ მოუშლიან ნერვებს“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ არ ჩანს ეკონომიკის მინისტრი, რა სჭირს ქართულ ეკონომიკას, რა პრინციპით არჩევენ თანამდებობებზე ადამიანებს? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ „დაიცავი საქართველოს“ ლიდერი კახა მიქაია ესაუბრება.**



***— გიორგი ქობულია ეკონომიკის მინისტრის მოვალეობის შესრულებას ივლისში შეუდგა. ამ პერიოდში ის უკვე სამჯერ გავიდა შვებულებაში. ამბობენ, რომ უკვე დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ მთავრობის სხდომაზე არ გამოჩენილა. გვყავს ეკონომიკის მინისტრი?***

— ჩემს ახალგაზრდობაში უმაღლეს სასწავლებლებში იყო დაუსწრებელი ფაკულტეტი. სტუდენტების ნაწილი დაუსწრებლად იღებდა განათლებას. მე მგონი, გიორგი ქობულია დაუსწრებლად არის მინისტრი. მოსკოვში, საიდანაც ჩამოიყვანეს, ძველებურად მუშაობს, საქართველოში კი დაუსწრებლად არის მინისტრი.

მეტი რა გითხრათ, კაცი მესამე თვეა, რაც მინისტრად დანიშნეს და თვალით არ გვინახავს. ეს აშკარად ბიძინა ივანიშვილის ნოვაციაა — მოსკოვში მომუშავე კაცი დაუსწრებლად დანიშნა ეკონომიკის მინისტრად საქართველოში.

***— იმ დროს, როდესაც ქვეყნის ეკონომიკა სულს ღაფავს, დაუსწრებელი ეკონომიკის მინისტრის ყოლა რამდენად გამართლებულია?***

— ქართული ეკონომიკა სულს არ ღაფავს. ქართულმა ეკონომიკამ სული განუტევა უკვე. ასეთ დროს დაუსწრებელი ეკონომიკის მინისტრის მოყვანა კარგად მეტყველებს საზოგადოების მიმართ ივანიშვილის დამოკიდებულებაზე.

***— საზოგადოება ამას რატომღაც დუმილით ხვდება.***

— საზოგადოება დიდი ხანია, რაც დუმს. მისი დუმილის მიზეზებზე მე ვერაფერს გეტყვით. ამის შესახებ მათგან უნდა მოვისმინოთ პასუხი.

ნიჰილიზმში ყოფნა ჩვენს საზოგადოებას ძალიან გაუგრძელდა. იმედი მაქვს, ეს დიდხანს არ გასტანს.

***— საზოგადოების მსგავსად, ქობულიას გაუთავებელ შვებულებებს ოპოზიციაც გაგებით ეკიდება. ეგენიც ნიჰილიზმში არიან ჩავარდნილი?***

— ამ კითხვაზე პასუხი რომ გაგცეთ, ჯერ ის უნდა გავარკვიოთ, გვყავს თუ არა ოპოზიცია საერთოდ.

***— როგორ არ გვყავს. პოლიტიკოსების ნაწილი საკუთარ თავს ოპოზიციას უწოდებს.***

— საკუთარ თავს ოპოზიციას ნაცები და ევრონაცებიც უწოდებენ, მაგრამ ეგენი ოპოზიციად არ ჩაითვლებიან. დანარჩენ პარტიებზე ბევრი არაფერი მაქვს სათქმელი. მხოლოდ იმას ვიტყვი, ნამდვილი ოპოზიცია რომ გვყავდეს, „ოცნება“ ხელისუფლებაში აღარ იქნებოდა.

სხვათა შორის, საზოგადოებაში გაბატონებული ნიჰილიზმის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ნამდვილი ოპოზიცია არ გვყავს.

***— რატომ არის საზოგადოება ამ ოპოზიციაზე მიჩერებული, არასამთავრობო ორგანიზაციები ხომ აქტიურობენ?***

— არასამთავრობოები ნამდვილად აქტიურობენ და ძალიან კარგია, რომ ასე ხდება. ოპოზიციისგან განსხვავებით, მათი ამოცანა ხელისუფლებაში მოსვლა არ არის. მათ იმედად საზოგადოება ვერ იქნება. საზოგადოება პოლიტიკურ პარტიებს უნდა ენდობოდეს.

***— შეიძლება, ჩვენს პოლიტიკოსებს ენდოს ადამიანი?***

— არც ენდობიან. ნამდვილი ოპოზიცია რომ იყოს, ხალხი მათ ნდობას გამოუცხადებდა.

***— რადგან ოპოზიცია არ გვყავს, მაგიტომ გვინიშნავს ივანიშვილი დაუსწრებელ მინისტრებს?***

— რა თქმა უნდა. ოპოზიცია არ არის და ამ მინისტრების პასუხისმგებლობა ნულია.

***— ოპოზიცია არც აქამდე ბრწყინავდა, მაგრამ დაუსწრებელი მინისტრი ჯერ არ გვყოლია. ეს ქობულია ვინ არის ამისთანა?***

— აქამდე იმიტომ არ გვყავდა დაუსწრებელი მინისტრი, რომ აქამდე ეს ხელისუფლება არ გვყოლია.

***— მეექვსე წელია, ესენი არიან და ახლა პირველად გვყავს ასეთი უცნაური მინისტრი.***

— აქამდე ქვეყანაში ასეთი მორალურ-პოლიტიკური კრიზისი არც ყოფილა. ახლა ეს კრიზისი აღწევს პიკს. ამის პარალელურად ვხედავ, თუ როგორ ივსება ადამიანების მოთმინების ფიალა.



***— ჩვენს საზოგადოებას საკმაოდ დიდი მოთმინების ფიალა აქვს და მის ავსებას ალბათ ბევრი დრო დასჭირდება.***

— მოთმინების ფიალა მართლაც დიდი აქვს ჩვენს საზოგადოებას, მაგრამ ეს ფიალა თითქმის სავსეა.

მე თქვენი გაზეთის მეშვეობით ერთხელ უკვე ვურჩიე ბიძინა ივანიშვილს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატად რომელიმე ასწლოვანი ხე წარედგინა. ახლა ვურჩევ, მინისტრებადაც ხეები დანიშნოს. ხალხს მაინც არ მოუშლიან ნერვებს, თავისთვის იშრიალებენ.

***— ხეები შეიძლება აღარ გამოდგეს, როგორც ამბობენ, ივანიშვილის ხეები ხმება.***

— ხმება ხეები? მაშინ ზვიგენი, ზებრა და პინგვინი დანიშნოს მინისტრებად. რითია ბიძინას ზებრა კალიგულას ცხენზე უარესი?!

# უკრაინული სპეცსამსახურები ხაჯიმბას და ბიბილოვის აფეთქებას აპირებდნენ

შორენა მარსაგიშვილი

**რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მეთაურებს სიკვდილის ბუზი დააჯდათ. თვითგამოცხადებული დონეცკის სახალხო რესპუბლიკის უშიშროების ყოფილი მინისტრი ანდრეი პინჩუკი აცხადებს, რომ უკრაინული სპეცსამსახურები დონეცკში ტერაქტს მხოლოდ ზახარჩენკოს წინააღმდეგ არ გეგმავდნენ. ექსმინისტრის თქმით, მათ სამიზნეს ცხინვალის და აფხაზეთის ლიდერებიც წარმოადგენდნენ.**



— ტერაქტების სერია იგეგმებოდა. მათ სამიზნეს მხოლოდ ზახარჩენკო არ წარმოადგენდა. მაგალითად, დონეცკში ხშირად ჩადიოდნენ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ლიდერები. ზახარჩენკო ხვდებოდა მათ — სადილობდნენ, ვახშმობდნენ. ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელსაც ზახარჩენკო ემსხვერპლა, სხვა მსხვილი პოლიტიკოსების წინააღმდეგაც უნდა ამოქმედებულიყო. ისინი ელოდებოდნენ, როდის გამოჩნდება იქ ზახარჩენკო რომელიმე ამ პოლიტიკოსთან ერთად, — განაცხადა პინჩუკმა, რომელსაც არ დაუკონკრეტებია თუ რატომ გადაწყვიტეს უკრაინულმა სპეცსამსახურებმა ზახარჩენკოს იმ ქვეყნად მარტო გაშვება. ნამინისტრალი ხომ ამბობს, რომ ზახარჩენკო აფეთქებულ კაფეში ბიბილოვთან და ხაჯიმბასთან ერთად ხშირად პურმარილობდა.

დონეცკის სახალხო რესპუბლიკის ლიდერი ალექსანდრე ზახარჩენკო 31 აგვისტოს ააფეთქეს კაფე „სეპარში“. ადგილობრივი ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ამ ტერაქტის უკან უკრაინის სპეცსამსახურები დგანან.

არის მეორე ვერსიაც, რომლის თანახმადაც ზახარჩენკო იმ ქვეყნად რუსეთის სპეცსამსახურებმა მიავლინეს.

რამდენიმედღიანი გლოვის შემდეგ, თვითგამოცხადებულმა რესპუბლიკამ ახალი მეთაური აირჩია. უფრო სწორად, საკანონმდებლო ორგანომ დაამტკიცა რესპუბლიკის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელი.

ეს პატივი დენის პუშელინს ერგო, რომელსაც 7 სექტემბრამდე სახალხო საბჭოს თავმჯდომარის პოსტი ეკავა. მის დამტკიცებამდე პარლამენტმა ზახარჩენკოს შეუჩერა უფლებამოსილება.

დონეცკის სახალხო რესპუბლიკას ახლა უკვე მშვიდად შეუძლია ძილი — მათ ახალი პატრონი ჰყავთ.

რაც შეეხება ზახარჩენკოს პოტენციურ თანამგზავრებს — ბიბილოვს და ხაჯიმბას, განწყობას არც ისინი უნდა უჩიოდნენ. ბედს განსაკუთრებით რაულ ხაჯიმბა უნდა დანატროდეს.

ეს უკანასკნელი ამ დღეებში დამასკოს სტუმრობდა, სადაც სირიის პრეზიდენტს ბაშარ ალ ასადს შეხვდა. სირიელები ხაჯიმბას სამხედრო პატივით დახვდნენ და თანამშრომლობის შესახებ დოკუმენტზეც მოაწერინეს ხელი.

აფხაზთა ლიდერის სირიულმა ვოიაჟმა ოსები ვერ დაამწუხრა, რადგანაც პირველმა სირიელმა ხაჯიმბაზე ადრე ოსთა ლიდერს გაუღო თავისი სასახლის კარი.

ოსურ და აფხაზურ მედიაში ჯერ არაფერი დაუწერიათ, მათი ლიდერები რომ სიკვდილს გადაურჩნენ. პინჩუკის განცხადების შემდეგ ბიბილოვი და ხაჯიმბა კაფე-რესტორნებში წონწიალს მოუკლებენ, რადგანაც ვილაცამ შესაძლოა ისინი მიაზახარჩენკოს.

# ქობულეთში 16 წლის გოგონა ძმის მიერ თოფიდან გასროლამ მოკლა



ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვაში 16 წლის გოგონა სანადირო თოფიდან გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა.

გოგონას გარდაცვალებასთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია ვრცელდება. ერთ-ერთის მიხედვით, სანადირო თოფიდან ტყვია გოგონას არასრულწლოვანმა ძმამ გაისროლა და მას შემთხვევით მოხვდა.

მეორე ვერსიით კი, მოზარდს ცეცხლსასროლი იარაღი თაროდან ჩამოუვარდა და ტყვია გავარდა.

16 წლის გოგონას ცხედარი ამ ეტაპზე პროზექტურაშია გადასვენებული.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სიცოცხლის მოსპობას გაუფრთხილებლობით გულისხმობს.

რუსთავი 2

# პერსონალური სახელმწიფო დაცვით სარგებლობა, სავარაუდოდ, პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარესაც შეეზღუდება




პერსონალური სახელმწიფო დაცვით სარგებლობა, სავარაუდოდ, პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარესაც შეეზღუდება. დღეს მოქმედი რეგლამენტით, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე უზრუნველყოფილია სახელმწიფო დაცვით ახალი მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადით.

მთავრობის ინიციატივით „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით კი, პარლამენტის თავმჯდომარეს პერსონალური სახელმწიფო დაცვა უფლებამოსილების გასვლიდან ერთი წლის ვადით შეუნარჩუნდება.

ამავე ცვლილებებით, იგივე წესი გავრცელდება პრეზიდენტზე, რომელსაც ჯერ კიდევ მოქმედი კანონით სახელმწიფო დაცვა სიცოცხლის ბოლომდე ეკუთვნის და ასევე, ყოფილ პრემიერ-მინისტრზე.

ამასთან, პროექტის მიხედვით, ყოფილ უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირებს სახელმწიფო დაცვა იმ შემთხვევაში შეუნარჩუნდებათ, თუკი მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება. ამაზე გადაწყვეტილება მთავრობამ უნდა მიიღოს.

კანონპროექტი სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა მოამზადა და ის განსახილველად მთავრობამ პარლამენტს უკვე წარუდგინა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „რუსეთიდან ხორბალს მანქანებით აღარ შემოატანინებენ“

## გაძვირდება თუ არა პური

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ემზარ ჯგერენაია პასუხობს.**

***– ბატონო ემზარ, ლარი კვლავ გაუფასურდა. როგორია თქვენი პროგნოზები და შეფასებები?***

– ლარის კურსის დაცემა ცალკე თემაა და ეს დამოკიდებულია იმაზე, რომ ჩვენს მეზობელ ქვეყნებში, თურქეთში, რუსეთსა და ირანში, რომლებიც ჩვენი სავაჭრო პარტნიორები არიან, უმძიმესი სიტუაციაა და კურსი ვარდება. თურქეთში უმართავი ხდება სიტუაცია. უკვე შვიდამდე ავიდა და აღიარა ქვეყანამ, რომ მას არ შეუძლია სიტუაციის მართვა, ამიტომ დახმარება ინგლისს სთხოვა.

***– ეს არის გამომწვევი მიზეზი ჩვენთან ლარის გაუფასურების?***

– როცა ვლაპარაკობთ სავაჭრო საკითხებზე, ეს ერთი თემაა, მაგრამ მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი თემაა ის ტრანსფერები, რომლებსაც ჩვენი მოქალაქეები რიცხავენ ამ ქვეყნებიდან. ვთქვათ, თურქეთში მუშაობდა მოქალაქე, იღებდა 1.000 დოლარს, რომლის ეკვივალენტი იყო 3.400 ლირა, ეს კი შემცირდა იმ დონემდე, რომ ეს 1.000 დოლარი დღეს არის 500 დოლარი. გზავნილებმაც საგრძნობლად იკლო.

ანალოგიური სიტუაციაა რუსეთშიც. თქვენთვის ცნობილი სანქციების გამო რუბლის კურსი 68-მდე ავიდა დოლართან მიმართებით. ბუნებრივია, ტრანსფერების ის მოცულობა, რომლებსაც რიცხავდნენ საქართველოში, შემცირდა. ეს ერთ-ერთი საგულისხმო მომენტია ორი მიმართულებით.

***– რა მიმართულებებს გულისხმობთ?***

– ერთი, რომ ტრანსფერებს ამცირებს და სავალუტო კურსზე მუშაობს და მეორე – ჩვენი საქონელი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია ჩაყენებული, რადგან მთელი ბაზარი დაფარულია იმპორტირებული საქონლის მიერ. იმპორტი რომ იზრდება, ეს ძალიან სერიოზული მომენტია ლარზე წნეხისთვის. ასევე ახალი სასწავლო წლის დასაწყისია, მოსახლეობა იმარაგებს ტანსაცმელს, სასწავლო ნივთებს. ყველაფერი ერთად აღებული იწვევს ეროვნული ვალუტის რყევებს.

***– პოლიტიკური ფაქტორი რამდენად მოქმედებს ლარზე? წინ საპრეზიდენტო არჩევნებია.***

– ჩემი ანალიზით, ვერ დავინახე, რომ პოლიტიკური თემა მოქმედებდეს. პრეზიდენტის არჩევნები არ არის იმდენად ფუნდამენტური მოვლენა, რამაც შეიძლება ჩიხში შეიყვანოს ჩვენი ეკონომიკა. შესაძლოა, ეს მიზეზები ასევე იყოს ახალი მთავრობის მიდგომებში, სადაც ჯერ კიდევ ვერ დალაგდა სიტუაცია ბოლომდე. ეს უფრო მოქმედებს ლარზე, ვიდრე არჩევნები.

***– კვლავაც განაგრძობს ლარი გაუფასურებას თუ არის საიმისო ბერკეტები, რომ მისი დასტაბილურება მოხდეს?***

– ძალიან ძნელად პროგნოზირებადი საკითხია. რეალურად ჩვენ არა გვაქვს ხედვა, რა ხდება. რუსეთში ამბობენ, რომ მომავალი სამიოთხი წელიწადი რუსული ვალუტის ვარდნა იქნება მინიმალური. ის იმოძრავებს 68-ის ირგვლივ. ეს თუ ასე იქნა, ჩვენთანაც შეჩერდება ვალუტის ვარდნა. თუმცა რუსეთმა უნდა იფიქროს იმაზეც, რომ მას შემოდგომაზე კიდევ ელოდება სანქციების ახალი ტალღა და ამ სანქციების შედეგად თუ შეძლებს რუსეთი კურსის დაჭერას, მაშინ კურსი ჩვენთანაც სტაბილური იქნება. ასევე, თუ ნავთობის ფასი სადაც ახლაა, იმ დონეზე დარჩა, ბარელი 69 დოლარი, მაშინ რუსეთი კურსს დაიჭერს, ხოლო თუ ნავთობი გაიაფდა, მაშინ რუსეთს ძალიან გაუჭირდება.

***– ჩვენთან საწვავზე ფასები იზრდება. მომავალი კვირიდან მოლოდინია, რომ როგორც საწვავზე, ისე პურზე ფასი დაახლოებით 10 თეთრით მოიმატებს. რამ გამოიწვია პურის ფასის ზრდა და ზოგადად ეს მოლოდინი?***

– ეს საკმაოდ რთული თემაა. პურის მარცვალზე ფასმა მოიმატა, ეს კი გამოიწვია იმან, რომ საქართველო გახდა მთლიანად დამოკიდებული რუსეთის პურზე. ეს ბუნებრივიც არის, ბიზნესი სადაც მეტ მოგებასა და რეალიზაციას შოულობს, იქ მიდის. ჩვენ დაახლოებით 800 ათას ტონა ხორბალს მოვიხმართ წელიწადში.

***– აქედან ქართული ხორბალი რამდენია?***

– აქედან 130 ათასი ტონა არის ჩვენი, დანარჩენი სულ იმპორტია, ანუ 80% არის იმპორტირებული. თუ ჩვენ ავიღებთ მაღალხარისხიან თეთრ კანადურ და ამერიკულ ხორბალს, მისი ფასი საკმაოდ ძვირია, სადღაც 450-დან 500 დოლარამდე, თანაც პატარა პარტიებით მაღალი ხარისხის ხორბლის ტრანსპორტირება ძალიან ძვირი ჯდება. ყველაზე დიდი მოცულობა არის 30.000-ტონიანი გემი, რომელიც შეგვიძლია მივიღოთ და დავამუშაოთ. ის რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი ჯდება. თქვენ უნდა გქონდეთ ათეულობით მილიონი დოლარი, საკუთარი წისქვილკომბინატი, რომელიც ამ ხორბალს მიიღებს და დაამუშავებს.

***– ამის საშუალება კი წვრილ ბიზნესმენებს არ აქვთ.***

– ვინაიდან ამის საშუალება არ არის, ამიტომ ქართველების უმეტესობა მიდის რუსეთში, სადაც წელს განსაკუთრებით დიდი მოსავალი მიიღეს, მანქანებით ყიდულობენ მცირე პარტიებს, დაახლოებით 1.000-2.000 ტონა და მოაქვთ საქართველოში. ასეთი შემოტანა პატარა დოზით ყოველთვის იყო, მაგრამ ახლა ამან ორი რამის გამო მასობრივი ხასიათი მიიღო.

***– კერძოდ, რის გამო?***

– რუსეთმა ანგარიშსწორება დაიწყო რუბლებში და როცა ვხედავთ, რუბლის ფასი როგორი დაცემულია, თქვენ მოგებაში ხართ და მეორე, მაქსიმალურად უკონტროლოდ შემოდის მანქანებით ეს მცირე მოცულობის ხორბალი ყაზბეგი-ლარსის გადმოსასვლელიდან საქართველოში.

ამიტომ დღეს ჩვენ ვართ ძალიან რთული კომბინაციის წინაშე. უკვე უჭირს ქვეყანას ამ მოცულობის მანქანების გატარება, ვერ ხდება კონტროლი და სიტუაცია შევიდა ჩიხში. ძალიან ბევრმა იყიდა დიდი მანქანები, გადავიდნენ რუსეთში ხორბლის შემოსატანად, ხოლო როცა ხელისუფლებამ აკრძალა მანქანებით შემოტანა და ითქვა, რომ ეს უნდა შემოვიდეს დიდი მოცულობით, ამან განაპირობა მოლოდინი, რომ ხელისუფლებას უნდა, ფასი გაზარდოს.

***– ეს მხოლოდ მოლოდინია?***

– ეს ხომ ჯერ არ არის რეალიზებული. ეს არის მოლოდინი, რომ ხორბლის გადაზიდვის ფასები აუცილებლად მოიმატებს, ბუნებრივია, ეს ასახვას ჰპოვებს ფქვილზე და შემდეგ – პურზე. რუსეთიდან იაფად რომ შემოჰქონდათ ხორბალი, არალეგალური იყო. ეს ყველაფერი გადავა ლეგალურ ხაზზე და ამიტომ ხორბლისა და პურის მწარმოებლებს შიში აქვთ, რომ ხორბალი გაძვირდება.

ჯერ აქეთკენ ნაბიჯი არ გადაუდგამთ. გარდა ამისა, ხორბლის ფასზე მოქმედებს ლარის კურსიც. ლარი თუ გაუფასურდება, ფასი, ბუნებრივია, მოიმატებს.



***– ხორბლის შემომტანებს აქვთ შიში, რომ მათ ამ საქმიანობას აუკრძალავენ, რადგან მოლოდინია, რომ ხორბლის იმპორტს ერთი კომპანია განახორციელებს. ასეა? რამდენად მიდის სიტუაცია ამ ბიზნესის მონოპოლიზაციისკენ?***

– მე ამის თაობაზე არ გამიგია და წარმოუდგენელიც არის, რომ ეს მხოლოდ ერთმა კომპანიამ განახორციელოს. აქ ლაპარაკია გამსხვილებაზე, ხოლო იმას, რომ ერთმა კომპანიამ აწარმოოს, არ დაუშვებს არც ქვეყანა, არც მთავრობა, არც ხალხი და არც ბაზარი. ეს არ არის ასე მარტივი. ეს უფრო მოგონილი ამბავია და არარეალურად მიმაჩნია. უბრალოდ, მოხდება ამ ბიზნესის ლეგალიზაცია, ყველა თავის ნებაზე ვერ შემოიტანს ყაზბეგი-ლარსის გზით და სწორედ ეს აშინებს ამ წვრილ მეწარმეებს.

დღეს ამბობენ, თუ რა გზებით უნდა გადაიჭრას ეს პრობლემა. ამიტომ ბიზნესმენები შიშობენ, რომ შესაძლოა ამან გააძვიროს ხორბალი და ფქვილი. აღარ შემოატანინებენ ყაზბეგი-ლარსის გზით. ტვირთებმა უნდა იმოძრაოს პორტებიდან და რკინიგზიდან. რკინიგზასაც საკმაოდ მოაკლდა შემოსავლები იმის გამო, რომ ტვირთი მანქანებით შემოჰქონდათ. ასე ველარ გაგრძელდება.

# ბექან ნათელაშვილი: „ხელისუფლების მომხრეები თავების მოჭრით გვემუქრებიან“

შორენა მარსაგიშვილი

**მომავალ კვირას ლეიბორისტული პარტია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართავს. ისინი გიორგი გახარიასგან იმ პირების დასჯას მოითხოვენ, რომლებიც ლეიბორისტული პარტიის წევრებს ფიზიკური განადგურებით ემუქრებიან.**

რა გახდა დაპირისპირების მიზეზი და რა მეთოდებით ჰპირდებიან „ოცნების“ მხარდამჭერები ოპოზიციონერებს ანგარიშსწორებას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის წევრი ბექან ნათელაშვილი ესაუბრება.

**ბექან ნათელაშვილი:**

– ქვეყნის ამაოხრებელი და გამაველანებელი „ოცნების“ მხარდამჭერები აგრესიულ ტერორზე გადმოვიდნენ. მრავალი წელია ოპოზიციაში ვარ, ხელისუფლების კრიტიკის მეტი რა მიკეთებია, მაგრამ ასეთ აგრესიას არასდროს შევხვედრივარ.

***– რა აგრესიაზე საუბრობთ, წინა ხელისუფლების დროს ოპოზიციის პროტესტს სისხლში ახშობდნენ. ახლა ასეთი რამეები არ მომხდარა.***

– იმიტომ არ მომხდარა, რომ ასეთი აქციები არ ყოფილა. მაშინდელი მასშტაბის აქციები რომ გაიმართოს, არც ესენი დაიხევენ უკან. წინა ხელისუფლების ოპოზიცია ვიყავი და ჩემს თანაპარტიელებთან ერთად აქცია არ გამომიტოვებია. არც კი მახსოვს, რამდენჯერ მოვყევი დარბევაში, სადაც ხელიც მომხვდა, რეზინის ტყვიაც და ხელკეტიც.

***– და ამის მერე ამბობთ, რომ ახლა უფრო მეტია აგრესიაა?***

– დიახ, ახლა უფრო მეტი აგრესიაა. აქციაზე დარბევა სხვაა და პარტიის მხარდამჭერები მშვიდობიან



დროს რომ გემუქრებიან, ეს სხვაა.

***– დარწმუნებული ხართ, რომ „ოცნების“ მხარდამჭერები გემუქრებიან?***

– ეს ადამიანები თავს „ოცნების“ აქტივისტებს უწოდებენ. ვინ არიან და რას წარმოადგენენ, ეს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაარკვიოს.

***– რა სახის მუქარებზეა საუბარი და რატომ დაიწყო თქვენ შორის ომი?***

– ალბათ არ გაგიკვირდებათ თუ გეტყვით, რომ ოლიგარქის გოგო-ბიჭებს ჩვენი აქტიურობა არ მოსწონთ. ერთ-ერთი ჩვენი აქტივობის შემდეგ, სოციალურ ქსელში დაიწყო დაპირისპირება.

შემოგვივარდნენ ქოცები და ატეხეს ერთი ამბავი, ჯერ გინება დაგვიწყეს, რაზედაც საკადრისი და ორმაგი პასუხი მიიღეს.

***– თქვენც აგინეთ?***

– ჩვენ გვაიძულეს გვეგინებინა. ჩვენ ოპონენტების გინებას პირველები არასდროს ვიწყებთ, მაგრამ თუ შეგვაგინებენ, საკადრის პასუხს მიიღებენ. შაირ-კაფიაში ნამდვილად ვერ გვაჯობებენ.

***– ფშაველ კაცს ვინმემ კაფიაში რომ აჯობოს, ეს მართლა წარმოუდგენელია.***

– ჰოდა, რომ ვერ გვაჯობეს, გადმოვიდნენ მუქარაზე. გვემუქრებიან, თავებს მოგაჭრითო. მაგათი მუქარის ნამდვილად არ მეშინია, მაგრამ შსს-ს აუცილებლად მივმართავ, იმიტომ, რომ ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული.

***– მუქარა რა ფორმით აღწევს თქვენამდე?***

– სოციალური ქსელით. ზოგმა ქოცმა ტელეფონითაც შემომითვალა მუქარა. ეს ყველაფერი დაფიქსირებულია.

***– სოციალურ ქსელში მუქარა დასჯადია და შსს-მ აქამდე რატომ არ დაიბარა დამმუქრებლები. კოკა მორგოშია იმის გამო დაიბარეს, რომ გურამ კაშიას მისამართით მუქარის შემცველი პოსტი დაწერა.***

– ამათ იმის თავი სადა აქვთ, რომ საჯაროდ დაგვემუქრონ. პირად მიმოწერაში გვემუქრებიან, თავებს მოგაჭრითო. იმდენს კი ვერ ხვდებიან, რომ თავი მათ ოლიგარქიულ რეჟიმს აქვს მოჭრილი.

კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ მაგათი მუქარის არ გვეშინია, მაგრამ რადგანაც ქოცებმა ჩაიდინეს დანაშაული, ჩვენ აუცილებლად მივმართავთ შსს-ს.

# ვაზიანის ბაზაზე რიგითი ვაჟა შათირიშვილი დაიღუპა

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ვაზიანის სასროლეთის ტერიტორიაზე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მე-12 ბატალიონის, მესამე მსუბუქი ქვეითი ასეულის პირველი კლასის რიგითი ვაჟა შათირიშვილი დაიღუპა.

– საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს მე-12 ბატალიონის, მესამე მსუბუქი ქვეითი ასეულის, პირველი კლასის რიგითის ვაჟა ლევანის ძე შათირიშვილის გარდაცვალების გამო.

პირველი ქვეითი ბრიგადის მე-12 ბატალიონის მე-3 ასეული იმყოფებოდა



ვაზიანში არსებულ სასროლეთზე, სწავლების მიზნით, რომლის დასრულების შემდეგ, როდესაც სამხედრო მოსამსახურეები ტოვებდნენ სასროლეთის ტერიტორიას, ავტომანქანა გადაბრუნდა მიწაყრილიან გზაზე, რის შედეგადაც ჯანმრთელობის სხვადასხვა დაზიანება მიიღეს მძღოლმა, რიგითმა გიორგი ძაგანაშვილმა, მანქანის მეთაურმა, რიგითმა ვაჟა შათირიშვილმა და მეტყვიამფრქვევე გიორგი ვარძელაშვილმა.

სამივე სამხედრო მოსამსახურე დაუყოვნებლივ გადაყვანილი იქნა ინგოროყვას სახელობის კლინიკაში, სადაც მიყვანისთანავე გარდაიცვალა ვაჟა შათირიშვილი. დანარჩენი სამხედრო მოსამსახურეების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში დაწყებულია გამოძიება საქართველოს სსკ მე-400 მუხლის მე-2 ნაწილით, რაც გულისხმობს საბრძოლო სატრანსპორტო მანქანის მართვის, ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. დანაშაული 3-7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, – აღნიშნულია თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

# ლევან ჩაჩუა: „ნამდვილი სტრესი ბიძინა ივანიშვილს მომავალში ელის“

მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას.**

***– შვილმოკლული მშობლები ზაზა სარალიძე და მალხაზ მაჩალიკაშვილი იძულებული არიან, ისევ გამართონ საპროტესტო აქციები. რატომ ვერ შეუწყო ხელი ხორავას ქუჩის საქმეზე სამართლიანობის დამკვიდრებას საპარლამენტო კომისიამ?***

– არც უნდა ყოფილიყო იმის იმედი, რომ პარლამენტის საგამოძიებო კომისიის მუშაობის შედეგად ყველაფერი მოგვარდებოდა და მკვლელები, ასევე მათი მფარველები დაისჯებოდნენ.

***– რატომ?***

– პროკურატურაში უამრავი საქმე დევს. ეს საქმეები მოითხოვს გამოძიებას ან გადასინჯვას. ხელისუფლებამ რომ ამ მხრივ ვერაფერი გააკეთა, ყველამ იცის. დანაშაულის უდიდესი უმრავლესობა სააკაშვილის რეჟიმის დროსაა ჩადენილი. იმ რეჟიმის ერთ-ერთი შემოქმედი თავის გუნდთან ერთად დღეს პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიაშია და ის დაამკვიდრებს სამართალს? გიგა ბოკერია თვითონ არის ბევრ დანაშაულში გარეული. არსებობს სულხან მოლაშვილის საჯარო ჩვენება, სადაც ის გიგა ბოკერიას კონკრეტულ ბრალს უყენებს.

***– სამართლიანობა, წესით, მმართველმა პარტიამ და ხელისუფლებამ უნდა დაამკვიდროს.***

– ხალხს დიდი ხანია, ამ ხელისუფლების ხელში გადაეწურა სამართლიანობის აღდგენის იმედი. ვიღას სჯერა სამართლიანობის! მძინარე ბავშვს რომ ძალოვანი სტრუქტურა დაესხმება თავს და მოკლავს ან ქუჩაში დღისით ბავშვების ჩხუბსა და ერთმანეთის დახოცვას რომ დაუშვებს, ის ხელისუფლება სანდოა?

ეს შემაძრწუნებელი შემთხვევები „ქართული ოცნების“ კისერზეა. ის, რაც



პარლამენტში ამ ერთი საქმის ვითომ გამოძიებისას ხდებოდა, ფარსი და დადგმა იყო. ამ კომისიით ბიძინა ივანიშვილს უნდა იმის ჩვენება, რომ ხელისუფლება, მათ შორის, საკანონმდებლო, მუშაობს და სულ იმის ცდაშია, ხალხს როგორ ასიამოვნოს. ასეთი პოლიტიკური ვირეშმაკობებით ხალხი არ ბრიყვდება. იმედგაცრუებულ და გაჭირვებულ საზოგადოებას ასეთი სპექტაკლები უფრო აღიზიანებს. ამის შემხედვარე ადამიანები უფრო უნდობლად უყურებენ მთელ პოლიტიკურ ელიტას, ასევე ჟურნალისტებს, რომლებიც საკუთარი ინტერპრეტაციით აშუქებენ ამ მოვლენებს.

პოლიტიკოსები შვილმოკლული მშობლების ტრაგედიებს ბინძურად იყენებენ თავიანთი ინტერესებისთვის. ხელისუფლება ფარდას არ ხდის იმას, რაც მოხდა. შეიძლება ადამიანმა პირადად შეუნდო სხვას, მაგრამ სახელმწიფოს უფლება არ აქვს, აპატიოს მძიმე დანაშაული ახლანდელ და ადრინდელ დამნაშავეებს. ამას მთავარი პროკურორის გადადგომა არ შველის. ქვეყანაში დაუსჯელობა ყველა სახის დანაშაულზე იგრძნობა. მომრავლდა ქრთამის აღებმიცემობა. კორუფციამ წალეკა ყველაფერი და ვინმე ამაზე რეაგირებს? როდემდე უნდა გაგრძელდეს პოლიტიკური თამაშები?

***– რა გაქვთ მხედველობაში?***

– „ქართული ოცნების“ გარიგება ნაცმოძრაობასთან და მის ნარჩენებთან. ბიძინა ივანიშვილმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ნაწილებად დაშალა და ლამის ყველას აფინანსებს. ტელედებატებში ყველგან ეს ხალხია გამოჭენებული. იქმნება მათი ერთმანეთთან დაპირისპირების ყალბი სურათი.

***– დაანონსებული აქციები არ შეუქმნის მმართველ პარტიას სტრესს?***

– არა. მართული აქციები სტრესს ვერ შექმნის. რამდენიმე ადამიანმა გადაიტანა დიდი ტრაგედია. მათ პატიოსნებაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ პოლიტიკანები, განსაკუთრებით ნაცმოძრაობიდან, ამას იყენებენ. არც „ქართული ოცნება“ ერიდება სპექტაკლებს. მმართველი პარტია და ის ნაცპარტიები, რომლებიც „ოცნებამ“ ერთადერთ ოპოზიციად აქცია, ერთად აკეთებენ იმას, რაც აწყობთ. მათ უნდათ, საზოგადოება დაზაფრონ და დაძაბონ.

***– ე.ი. ხალხისგან პოლიტელიტას არაფერი ემუქრება?***

– დღეს და ხვალ არა. „ოცნება“, დაშლილ ნაციონალებთან ერთად, ხალხს ტვინში უჭედავს, რომ ქვეყანაში, პოლიტიკაში მათ მეტი არავინ არის. საპრეზიდენტო არჩევნებზე პირველ ხუთ ადგილს ერთმანეთში გადაინაწილებენ. ვინ იქნება შემდეგი, ამას მნიშვნელობა არ ექნება. ამ პოლიტელიტას თავისტკივილი მერე გაუჩნდება. ნამდვილი სტრესი ბიძინა ივანიშვილს მომავალში ელის.

***– იქნებ დააკონკრეტოთ?***

– „ქართული იდეა“ ხალხის ორგანული ნაწილი ვართ. საზოგადოების განწყობები კარგად ვიცით. ადამიანებს სურვილი აქვთ, გვერდით დაუდგნენ სუფთა ძალას, რომელსაც არ გაუსხვისებია ქვეყნის ტერიტორიები, არ უღალატია სამშობლოსთვის, არ გაუწირავს საკუთარი მოსახლეობა. საზოგადოებაში არის სერიოზული მოთხოვნა ეროვნული იდეოლოგიის მქონე გაერთიანებაზე.

ვიწყებთ ამ გაერთიანების შექმნას, ვიზიდავთ საზოგადოებისთვის სანდო, გაუსვრელ მოღვაწეებს, ჯგუფებს. ხელისუფლებისთვის დამოუკიდებელი მძლავრი ოპოზიციური მოძრაობის ჩამოყალიბება დიდი სტრესი იქნება. მომავალ პარლამენტს ისევ ქოცებსა და ნაცებს არ დავაკომპლექტებინებთ!

# ზურაბ სიხარულიძე: „მარიხუანას ზემოქმედების ქვეშ მანქანის მართვისას მძღოლების დასჯის პროცესი რთული იქნება“



საზოგადოება კარგად ვერ აღიქვამს, რა გადაწყვეტილება მიიღო საკონსტიტუციო სასამართლომ, არ მომხდარა საბოლოოდ მარიხუანას ლეგალიზაცია, მოხდა მხოლოდ მოხმარების დეკრიმინალიზაცია, – ამის შესახებ ნარკოლოგმა ზურაბ სიხარულიძემ განაცხადა.

– საკმაოდ სერიოზული ვნებათაღელვა გამოიწვია იმ საკითხმა, რაც მოხდა, მაგრამ სამწუხაროდ, საზოგადოება კარგად ვერ აღიქვამს იმას, რა გადაწყვეტილება მიიღო საკონსტიტუციო სასამართლომ. მისი ინტერპრეტაცია არასწორად ხდება. საქართველოში არ მომხდარა საბოლოოდ მარიხუანას ლეგალიზაცია, მოხდა მხოლოდ მოხმარების დეკრიმინალიზაცია. ეს გადაწყვეტილება ძალიან სწორი იყო. პირველ რიგში უნდა განვიხილოთ, რა ზიანი მოგვიტანა ამ გადაწყვეტილებამ. მაგალითად, გაიზარდა თუ არა მოხმარება? – ეს უნდა გავიგოთ იმის მიხედვით, მოხდა თუ არა მომართვიანობის გაზრდა სამედიცინო დაწესებულებებში, გაიზარდა თუ არა კრიმინალი, რომელიც გამოწვეულია მარიხუანას მოხმარებით, ასევე მარიხუანას ზედოზირებით საავადმყოფოში ადამიანების მოხვედრის შემთხვევები. დღესდღეობით სახეზე არც ერთი არ გვაქვს. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ გადაწყვეტილებამ ქვეყანაში არაფერი გასაკუთრებული არ მოახდინა, – განაცხადა ზურაბ სიხარულიძემ.

მისივე თქმით, შსს-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილება რეგულაციებთან დაკავშირებით სწორია, თუმცა, რამდენიმე საკითხს არ ეთანხმება.

– რამდენიმე საკითხს არ ვეთანხმები და საკმაოდ რთული იქნება ამ საკითხის გაკონტროლება. ეს არის ზუსტად სახელმწიფოს რეაგირება ლეგალიზაციის შემდგომ, გარკვეული რეგულაციების შექმნა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დანერგვა ქვეყანაში. პირველ ნაწილს, რაც ახალგაზრდებს ეხება, ვეთანხმები. თუმცა, არ ვეთანხმები გარკვეული პროფესიების შეზღუდვას და გარკვეული უფლებების ჩამორთმევას, რაც ძალიან არადემოკრატიულად მიმაჩნია ჩვენს სახელმწიფოში, – განაცხადა ნარკოლოგმა.

შსს-ს რეგულაციებზე საუბრისას სიხარულიძემ ყურადღება გაამახვილა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე ავტომობილის მართვისას მარიხუანას ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს და აღნიშნა, რომ ეს რთული პროცესია, რადგან მარიხუანა მოხმარებიდან ერთი თვის შემდეგაც შეიძლება აღმოჩნდეს შარდში.

– ეს არის საკმაოდ რთული პროცედურა. მარიხუანას თვისებებიდან გამომდინარე, შარდში კვალის აღმოჩენა შესაძლებელია ერთი დღიდან ერთ თვემდე. შესაბამისად, ადამიანს, რომელიც მანქანას მართავს, შეიძლება ნებისმიერი სხვა ნივთიერება ჰქონდეს მიღებული, რომლის დიაგნოსტირებაც ვერ ხდება. მისი დიაგნოსტირების დროს შესაძლებელია მარიხუანა იყოს აღმოჩენილი შარდში და ყველაფერი დაბრალდეს მარიხუანას. ეს უნდა დადგინდეს კლინიკურად, იმ მომენტში აქვს თუ არა მარიხუანა მოხმარებული, – განაცხადა სიხარულიძემ.

# მარტოკაცი ხახაბოდან — ალბათ არც იციან, რომ აქ კიდევ ცხოვრობს ადამიანი



10 წლის იყო, როცა მისი სახლი ზვავმა მოიყოლა. ოჯახის სამი წევრი სტიქიამ იმსხვერპლა. თვითონაც თოვლიდან ამოიყვანეს. იმ დროს სოფელში ჯერ კიდევ ცხოვრობდა რამდენიმე ადამიანი, გაჭირვების დროს ერთმანეთს ეხმარებოდნენ. ახლა არათუ დამხმარე, ხმის გამცემიც აღარავინ ჰყავს. 2001 წლიდან ხახაბოს ციხე-სოფელში სულ მარტო ცხოვრობს.

ხახაბოს ციხე სოფელი პირიქითა ხევსურეთშია. სოფლამდე სამანქანო გზა არასდროს ყოფილა. დათვიჯვრის უღელტეხილიდან ჭანჭახის წყლის გავლით ხახაბომდე 10 კილომეტრია. ამდენივეა არდოტიდან. ორივე მიმართულებით საფეხმავლო ბილიკები ციცაბო გორებზე გადის და მდინარეები კვეთს. არდოტიდან სამ ადგილას მდინარეზე საცალფეხო ხიდიც არაა.

უგზოობას სოფლის დაცლის მთავარ მიზეზად ასახელებს. კლდოვან გორაზე 3-4- სართულიანი ციხე-სახლების ნანგრევები ჯერ კიდევ არის შემორჩენილი, მაგრამ დაბრუნებას და სახლის აღდგენას არავინ ჩქარობს. მთელ სოფელს 36 წლის პაატა ხახიაური პატრონობს.

„აქ დავიბადე და გავიზარდე. 6 წლის რომ ვიყავი, სკოლაში ბარისახოში მიმიყვანეს. აქედან შემოდგომით მივდიოდი და მაისამდე იქ ვრჩებოდი, ინტერნატში. ხახაბოდან ბარისახო 25 კილომეტრშია. 3 წელი იქ ვისწავლე, დანარჩენი წლები აქეთ, შატილში.

მეოთხე კლასში ვიყავი, საღამოს სახლში ზვავი რომ დაგვეცა. დაიტანა დედაჩემი, და-ძმა. მეც შიგ მოვყე, მაგრამ ამოვედი. ჩემი და ზვავმა გამოიტანა სახლიდან. აქეთ, სადღაც გადმოაგდო ცხედარი. სამნი დაიღუპნენ, სამნი გადავრჩით.

სკოლაში ბოლო კლასები ველარ ვიარე. მამას საქონლის მარტო მოვლა გაუჭირდა და ვეხმარებოდი. რამდენიმე წელში მამაც დაიღუპა. მერე ჯარში წავედი. 21 წლის ვიყავი, ჯარიდან რომ დავბრუნდი. მას შემდეგ აქ ვცხოვრობ. მესაზღვრედ მინდოდა მუშაობა, მაგრამ უარი მითხრეს, საშუალო სკოლაც არ გაქვს დამთავრებულიო“.

ხახაბოში აპრილიდან ოქტომბრის ბოლომდეა. საქონელს უვლის, მაგრამ ყველს ან რძის სხვა ნაწარმს არ აკეთებს. სამანქანო გზამდე გადაზიდვა უჭირს. იხსენებს, რომ რამდენჯერმე ფქვილის ტომრით დატვირთული ცხენი ხრამში გადაუვარდა.

უახლოესი მეზობლები, დედა-შვილი, 78 წლის მარიამ და 53 წლის ბადრი მინდიკაურები, დაახლოებით 2 კილომეტრში, ჭალაში ჰყავს.

ხახაბოში სატელეფონო კავშირი არ არის. „დასარეკი“ ჭანჭახის მთის წვერზეა, ციხე სოფლიდან 8 კილომეტრში.

„მე ტელეფონის გარეშეც შემიძლია გავძლო. გამომუშავებული მაქვს ნებისყოფა. სხვა ვერ გაძლებს, ბარში დაბადებულ-გაზრდილი. აქედან ადამიანები მძიმე ცხოვრებას გაერიდნენ და ვინ ან როგორ დაბრუნდება?

განა ისე რთულია გზის გაჭრა დათვიჯვრის უღელტეხილიდან? ზაფხულობით მაინც მოვიდოდა ორხიდიანი მანქანა, რამეს მოიტანდი, სახლს გაამაგრებდი, რაღაცას წაიღებდი. არასდროს არავინ მოსულა და არ უკითხავს, რა გვჭირდება. ალბათ არც იციან, რომ აქ კიდევ ცხოვრობს ადამიანი“.

ფშავ-ხევსურეთის ინტერნეტიზაციის ეიმედება. ათნიგენობისთვის ბიჭები ყოფილან ასული ხახაბოში და უთქვამთ, რომ მალე პირიქითა ხევსურეთში უკაბელო ინტერნეტი იქნება.

„ახალგაზრდა ბიჭია. ბარიდან ამოსვლას ფიქრობს, ნასახლარი აქვს. უნდა, ზაფხულობით მაინც იცხოვროს აქ. ინტერნეტი რომ იქნება, ახალ ამბავს მაინც გაიგებ, ვინმეს დაურეკავ, მოგიკითხავს, დაელაპარაკები“.

ინტერნეტიზაციით დაიმედებულმა წელს პირველად მიკროგრანტების კონკურსში მონაწილეობა გადაწყვიტა. მეზობელ ბადრისთან ერთად ცხენების ყიდვა სურს:

„ხევსურეთში ტურისტების რაოდენობა გაზრდილია. საცხენოსნო ტურებზე მოთხოვნა გასულ წლებშიც იყო, მაგრამ არც ტელეფონი, არც ინტერნეტი, აქედან ვერაფერს ვიზამდით. ახლა, რადგან მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ინტერნეტი შემოიყვანოს, ტურისტებთან კავშირსაც შევძლებთ. რამდენიმე ახალი მარშრუტის შეთავაზებაც შეგვიძლია“.

პროექტი თუ მოიგეს, მუშაობას მომავალი წლის მაისიდან დაიწყებენ. 2020 წლისთვის გეგმაში ხახაბოში კოტეჯების მოწყობა აქვთ და პირველად ბოლო რამდენიმე წელში, მუდმივ მცხოვრებლებადაც დაფიქსირდებიან.

**მთისამბები**

# საქართველოში საზოგადოებრივ ადგილებში ჩადრით, ნიქაბით და ბურქით სიარული, შესაძლოა, ადმინისტრაციული წესით დასჯადი გახდეს



საქართველოში საზოგადოებრივ ადგილებში ჩადრით, ნიქაბით და ბურქით სიარული, შესაძლოა, ადმინისტრაციული წესით დასჯადი ქმედება გახდეს.

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შესაბამისი ცვლილებების განხორციელების ინიციატივით ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი ემზარ კვიციანი გამოდის.

პარლამენტს ბიუროს უახლოეს სხდომაზე წარედგინება ემზარ კვიციანის პროექტი, რომლის მიხედვით, სკვერში, პარკში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში ჩადრით, ნიქაბით და ბურკით სიარული – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით – გამოიწვევს დაჯარიმებას 1.500 ლარის ოდენობით.

ამასთან, აკრძალვა არ გავრცელდება საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის თანამშრომლებზე.

– კანონპროექტის მომზადების მიზეზია საქართველოში ბოლო პერიოდში გახშირებული ჩადრით, ნიქაბით და ბურკით ტურისტების სიარული. აღნიშნული სამოსელი არ იძლევა პიროვნების იდენტიფიცირების საშუალებას, გარდა ამისა, შეიცავს საფრთხეებს ტერორიზმის კუთხით. ევროპის ქვეყნებში უკვე მოქმედებს აკრძალვები ამ კუთხით. კერძოდ, ჩადრით, ნიქაბით და ბურკით სიარული აკრძალულია: ჰოლანდიაში, ბელგიაში, საფრანგეთში, ავსტრიაში, ბულგარეთსა და ლატვიაში. მიმდინარე წლის 1-ელი ივლისიდან ამ ქვეყნების რიცხვს დანიაც შეუერთდა, – ნათქვამია პროექტის განმარტებით ბარათში.

# მამუკა ბახტაძე: „ფოკუსირებული ვართ, რათა საქართველოში შევქმნათ კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალი“

– ჩვენ ვართ მთლიანად ფოკუსირებული იმაზე, რომ საქართველოში შევქმნათ ისეთი ადამიანური კაპიტალი, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება 21-ე საუკუნეში, ციფრულ ეპოქაში, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ „პროგრესული ალიანსის“ მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე – „შრომის პერსპექტივები ციფრულ ეკონომიკაში“ განაცხადა.

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, ასეთი მაღალი დონის წარმომადგენლობითი კონფერენციის გამართვა საქართველოში ,,ქართული ოცნების“, ჯერ კიდევ ახალგაზრდა პარტიის, აღიარებაა ისეთი გაერთიანების მიერ, როგორიცაა „პროგრესული ალიანსი“, რომელიც მსოფლიოს პროგრესულ პარტიებს აერთიანებს. მთავრობის მეთაურის განცხადებით, ,,ქართული ოცნებისთვის“ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ ფორმატშიც დგას იმ გაერთიანების გვერდით, რომელშიც მსოფლიოს 120-მდე წამყვანი პოლიტიკური პარტია შედის.

– ეს არის დიდი პასუხისმგებლობა და სტიმული პარტიისათვის. რამდენიმე წლის განმავლობაში „ქართულმა ოცნებამ“ უკვე დაამყარა მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები მსოფლიოს სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიასთან. ჩვენ გვაქვს საერთო ღირებულებები, ერთად განვიხილავთ გლობალურ დღის წესრიგსა და ყველა გამოწვევას, რომელთა წინაშეც ჩვენი რეგიონი და მსოფლიო დგას. ამ გამოწვევების დასაძლევად აუცილებელია რაციონალური ხედვა და ერთიანობა. სასიხარულოა, რომ ჩვენი თანამშრომლობა სულ უფრო ღრმავდება, მეტად მტკიცდება საერთო პოზიციები, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

მთავრობის მეთაურმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა საქართველოს მთავრობისთვის აბსოლუტურ პრიორიტეტს წარმოადგენს და მთავარი ამოცანაა, რომ განათლების სექტორს ჰქონდეს მინიმუმ ორნიშნა რიცხვი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში.

– ეს არის ძალიან ამბიციური ამოცანა, თუმცა, დარწმუნებული ვართ, რომ რეფორმის შედეგად ამ მიზანს აუცი-



ლებლად მივაღწევთ. განათლება უნდა მოვარგოთ ახალ ეკონომიკურ გამოწვევებს. ჩვენ გვჭირდება კონკურენტუნარიანი სპეციალისტები და პროფესიონალები გლობალურ შრომით ბაზარზე, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ბევრი ექსპერტი საუბრობს, რომ ციფრული ეპოქა გარკვეულ პროფესიებში სამუშაო ადგილების შემცირებას გამოიწვევს, მაგრამ ამავე დროს, აუცილებლად იქნება მოთხოვნა ახალ პროფესიებზე.

– მაგალითისთვის შემიძლია დაგისახელოთ, რომ მხოლოდ კიბერუსაფრთხოების დარგში უკვე დღეს მსოფლიოში არის დაახლოებით სამი მილიონი სამუშაო ადგილი, რომელიც ვერ ივსება, იქედან გამომდინარე, რომ არ არსებობენ სპეციალისტები. სწორედ ასეთ პროფესიებზე და ასეთ შესაძლებლობებზე იქნება მორგებული ჩვენი განათლების რეფორმაც. ჩვენთვის მთავარია, ქვეყანაში მივაღწიოთ ინკლუზიურ ზრდას. ინკლუზიური ზრდა ნიშნავს თითოეული მოქალაქის ჩართულობას ქვეყნის აღმშენებლობით პროცესში. ვფიქრობ, რომ ციფრული ტექნოლოგიები იძლევა ამის უნიკალურ საშუალებას, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრი სიტყვით გამოსვლაში საქართველოს ევროპულ არჩევანსაც შეეხო და განაცხადა, რომ საქართველო მტკიცედ ადგას დემოკრატიისა და დიდი ევროპული ოჯახისაკენ მიმავალ გზას და ამ გზაზე საქართველოს ზურგს უმაგრებს ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობა. „არაერთხელ განვაცხადე და კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა ერთ ძალიან მნიშვნელოვან გარემოებას – ჩვენთვის ევროპული ოჯახი ეს არ გახლავთ პოლიტიკური, ან გეოპოლიტიკური არჩევანი, ეს არის ჩვენი ცივილიზაციური არჩევანი, ეს არის ის ოჯახი, ის სივრცე, სადაც ჩამოყალიბდა ქართული სახელმწიფოებრიობა და სადაც ჩვენ შევიტანეთ საერთო ცივილიზაციის შექმნაში მნიშვნელოვანი კონტრიბუცია. შესაბამისად, სწორედ ევროპა და ევროკავშირი გახლავთ ის ერთადერთი ოჯახი, სადაც საქართველო შეიძლება დაბრუნდეს, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველოს სჭირდება ევროპელი პარტნიორების მტკიცე მხარდაჭერა იმ ძირითად საკითხებში, რომლებიც უცილებელია საქართველოს წინსვლისთვის, დემოკრატიის განვითარებისა და საქართველოს მთავარი მიზნის – ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობისათვის.

– ჩვენ ძალიან მტკიცე ნაბიჯები გადავდგით დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობისათვის საქართველოში და ხშირ შემთხვევაში ჩვენ ეს თამასა კიდევ უფრო მაღლა ავწიეთ. ამის მაგალითად შემიძლია მოგიყვანოთ ის უნიკალური შემთხვევა, რომელიც ჩვენ გვქონდა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, როდესაც საქართველო მოხვდა საუკეთესო ხუთ ქვეყანას შორის, რომლის საჯარო ფინანსების გამჭვირვალობა არის საუკეთესო. საუკეთესო ხუთეული – სწორედ ასეთი ამბიციური მიზნები გვაქვს ჩვენ. რაც შეეხება დემოკრატიული ინსტიტუტებს, რაც შეეხება გამჭვირვალობას, ჩვენ უნდა ვიყოთ მსოფლიოში მოწინავე პოზიციებზე, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ. პრემიერ-მინისტრმა ისაუბრა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ რაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ხდება, ეს არის ჰუმანიტარული კატასტროფა.

– დღეს ჩვენ გვაქვს ძალიან მტკივნეული და მწვავე გამოწვევა – საქართველოს ტერიტორიის ოცი პროცენტი ჯერ კიდევ ოკუპირებულია რუსეთის მიერ და რაც ამ ტერიტორიებზე ხდება, ვერანაირ სხვა სახელს ვერ დავარქმევთ, თუ არა ჰუმანიტარულ კატასტროფას. ცხინვალის რეგიონში ომამდე მოსახლეობის რაოდენობა იყო 120 ათასი ადამიანი, დღეს სამწუხაროდ, ამ რეგიონში არ არის დარჩენილი 20 ათას ადამიანზე მეტი. აქედან 7 ათასი გახლავთ რუსეთის ჯარის სამხედრო მოსამსახურე. აფხაზეთშიც სამწუხაროდ გვაქვს იგივე სიტუაცია. ომის პერიოდამდე მოსახლეობა იყო 550 ათასი, დღეს სამწუხაროდ, 120 ათას ადამიანზე მეტი არ ცხოვრობს ამ ტერიტორიაზე. ჩვენი პასუხი ამ ყველაზე მტკივნეულ გამოწვევაზე არის მშვიდობა, და განვითარება. არის დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა და ისეთი სივრცის შექმნა, სადაც ყველა ადამიანი შეძლებს თავისი ნიჭისა და შესაძლებლობების რეალიზაციას ჩვენს საერთო სამშობლოში. ბუნებრივია, ამ გზაზე ჩვენ გვჭირდება ჩვენი მეგობრების დახმარება და ჩვენ ვიცით, რომ თქვენ მტკიცედ დგახართ ქართული დემოკრატიის გვერდით. გლობალიზაციის ეპოქაში ვერც ერთი ქვეყანა ვერ განვითარდება ჩაკეტილ სივრცეში. ჩვენ ერთმანეთი უნდა გავაძლიეროთ და, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი თანამშრომლობა სულ უფრო ნაყოფიერი იქნება, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

# კახეთში უკვე 17 ათასამდე ტონა ყურძენია გადამუშავებული



7 სექტემბრის მონაცემებით, კახეთში 17 ათასამდე ტონა ყურძენია გადამუშავებული. აქედან 10 ათას ტონამდე საფერავი, 4 ათას ტონამდე რქაწითელი, 800 ტონამდე კახური მწვანე, დანარჩენი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია. მევენახეების შემოსავალმა 27 მლნ ლარს მიაღწია.

– კახეთში რთველი შეფერხების გარეშე მიმდინარეობს. ყურძნის გადამუშავების

დღეღამურმა მაჩვენებელმა 4 ათას ტონას მიაღწია, რაც იმას ნიშნავს, რომ რთველი აქტიურ ფაზაში შევიდა. ყურძნის კრეფის პროცესი კახეთის თითქმის ყველა

მუნიციპალიტეტში დაიწყო, გარდა საგარეჯოსი, სადაც ტრადიციულად რთველი

შედარებით მოგვიანებით იწყება,“ – აღნიშნა რთველის საკოორდინაციო შტაბის

უფროსმა, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე ანდრო ასლანიშვილმა.

რთველი 2018-ის საკოორდინაციო შტაბი 20 აგვისტოს გაიხსნა. ამ დროისთვის

შტაბში 135 კომპანიაა დარეგისტრირებული, რომლებიც ყურძნის გადამუშავების

პროცესში ჩაერთვება. ყურძენი უკვე გადაამუშავა 60-მდე ღვინის კომპანიამ.

# ქართველმა დიზაინერებმა პარიზული შოურუმებიდან 220 ათასი ევროს პროდუქცია გაყიდეს



საერთაშორისო ბაზარზე ქართველი დიზაინერების პროდუქცია კიდევ უფრო მოთხოვნადი ხდება. ბოლო 6 თვეში დიზაინერები უკვე სტაბილურად იღებენ შეკვეთებს.

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 7 ქართველი დიზაინერის პროდუქცია პარიზში (19-26 ივნისი) More dash Showroom-ში, Maison Pyramide– სა და Paper Mache Tiger -ის შოურუმებში იყო წარდგენილი, შედეგადაც მათ საერთაშორისო ბაზარზე 220 000 ევროს ღირებულების პროდუქციის რეალიზაცია შეძლეს.

თუ შევადარებთ გასულ შემოდგომა-ზამთრის კოლექციის რეალიზაციას, მაშინ 170.000 ევროს პროდუქციის ექსპორტი იყო განხორციელებული მხოლოდ ევროკავშირის ბაზარზე.

პარიზში პროდუქცია წარადგინეს ქართულმა ბრენდებმა – „NDuo“, „Dalood“, „Anouki“, „Tamuna Ingoroyva“, „Lako Bukia“, „Materia თბილისი“, Ltd „Lya“.

აღსანიშნავია, რომ შოურუმები პარიზის მოდის კვირეულის ფარგლებში ოთხჯერ იმართება, დიზაინისა და მოდის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბურია და, ტრადიციულად, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან 100-მდე კომპანიასა და 130-ზე მეტ შემსყიდველს (ე.წ. ბაიერი) და პრესის წარმომადგენელს მასპინძლობს.

25 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით, პარიზის მოდის კვირეულის პარალელურად არაერთი ღონისძიება და შოურუმი იქნება გამართული, რომელშიც მონაწილეობას მინიმუმ 10 ქართველი დიზაინერი მიიღებს. დიზაინერების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

GBC

# ცოტნე ყავლაშვილი: „დღგ-ს ზედმეტობის დაბრუნება ეკონომიკის სტიმულირებისთვის მნიშვნელოვანია“



დღგ-ს ზედმეტობის დაბრუნება მნიშვნელოვანია ეკონომიკის სტიმულირებისთვის, – განაცხადა ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილმა დღგ-ს ზედმეტობის დაბრუნების პროცესის შეფასებისას.

მისი თქმით, საგადასახადო ზედმეტობის სახით, დღეის მდგომარეობით, უკვე დაბრუნებულია 280 მლნ ლარამდე.

– 2018 წლის დასაწყისიდან, ფინანსთა სამინისტროს მიდგომები დღგ-ს ზედმეტობის დაბრუნებასთან დაკავშირებით, არის თვისობრივად შეცვლილი, პროცესის გამარტივებისა და დაჩქარების მიმართულებით, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, ბიზნესის კიდევ უფრო გააქტიურება, რათა მათ ელექტრონული ფორმით შეავსონ განაცხადები და ჩვენ უმოკლეს ვადებში დავაბრუნებთ აღნიშნულ თანხებს. 2018 წლის ბოლოდან, ეს პროცესი სრულად ელექტრონული ფორმით განხორციელდება და დღგ-ს ზედმეტობის დაბრუნება, განხორციელდება ადამიანური რესურსების ჩართულობის გარეშე, – აღნიშნა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ.

როგორც ცოტნე ყავლაშვილმა განაცხადა, ბიზნესის აქტიურობა ბოლო წლებთან შედარებით, 4-ჯერ არის გაზრდილი, რაც რეფორმის ფარგლებში ფინანსთა სამინისტროს აქტიური მუშაობის შედეგია, თუმცა მნიშვნელოვანია, ეს პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდეს.

– ჩვენ მოვუწოდებთ ბიზნესს მეტი აქტიურობისკენ. დღგ-ს ზედმეტობის დაბრუნება, მნიშვნელოვანია ეკონომიკის სტიმულირებისთვის. ეს პროცესი უკავშირდება ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას, რადგან ბიზნესს აქვს საშუალება, უმოკლეს ვადაში დაიბრუნოს ის აქტივები, რომელიც მას დღგ-ს ზედმეტობის სახით აქვს საგადასახადო ბარათზე და ეს თანხები კვლავ გამოიყენოს ბიზნესის გაფართოებისთვის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის და რეინვესტირებისთვის. ფინანსთა სამინისტრო წლის მანძილზე ახორციელებს აქტიურ საინფორმაციო კამპანიას, რათა ეს პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდეს და წლის ბოლომდე მივაღწიოთ ძალიან მაღალ, 500 მილიონიან მაჩვენებელს, – აღნიშნა ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილმა.

# „ბიუ-ბიუს“ მწარმოებელი სიმინდის იმპორტის შეზღუდვას კატასტროფას უწოდებს



კომპანია „ჩირინას“ (ბრენდი „ბიუ-ბიუ“) დამფუძნებელი რევაზ ვაშაკიძე მთავრობის მხრიდან სიმინდის ქვეყნის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებებით შემოტანის აკრძალვას ეხმაურება და აცხადებს, რომ ეს კატასტროფაა და მეფრინველეობის კომპანიებს დახურვის პირას მიიყვანს. როგორც ცნობილია, 1 ნოემბრიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე სიმინდის შემოტანა და გატანა მხოლოდ რკინიგზითა და პორტების მეშვეობით მოხდება. აღნიშნული ინფორმაცია „კომერსანტს“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიაწოდეს.

ვაშაკიძის განცხადებით, საქართველოში წარმოებული სიმინდი ძალიან ცოტაა, გემით შემოტანილი კი ძვირია. შესაბამისად, მეკვერცხეობის და, ზოგადად, მეფრინველეობის საწარმოები გაჩერდნენ. „ძვირ ქათამს ვერავინ იყიდის, საწარმოებს რეალიზაცია შეუმცირდებათ“, – აცხადებს ვაშაკიძე.

კითხვაზე, აღნიშნული რეგულაცია ხომ არ გახდება ადგილობრივი ფერმერებისთვის სიმინდის მოყვანის სტიმული, ვაშაკიძე განმარტავს, რომ ეს ასე მარტივი არ არის. მისი მტკიცებით, ამას სჭირდება სპეციალური სახელმწიფო პროგრამა და სხვა მსგავსი ღონისძიებები. „მაშინ საზღვრები უნდა ჩაკეტო, ეს სულ სხვა პოლიტიკაა. ასე ყველაფრის დანგრევაა შესაძლებელი“, – აცხადებს ვაშაკიძე.

აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მხრიდან გამოხმაურება „კომერსანტის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას მოჰყვა, სადაც ფერმერების მხრიდან გამოთქმულ უკმაყოფილებაზე იყო საუბარი. კახელი ფერმერები რუსეთიდან სიმინდის დემპინგურ ფასად იმპორტზე საუბრობდნენ, რაც ბაზარზე ფასების დაცემას იწვევს და ადგილობრივ მწარმოებლებს არაკონკურენტულ მდგომარეობაში აყენებს.

სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით, მთავრობაში ქართველი ფერმერების წინაშე არსებული პრობლემები გაითვალისწინეს და სიმინდის ლარსის საბაჟოს გავლით იმპორტის აკრძალვის გადაწყვეტილება მიიღეს.

# რა გზით შეიძლება გაიაფდეს საქართველოში ბენზინი



თუ სახელმწიფო ნავთობკომპანიებს დღგ-სგან გაათავისუფლებს, 1 ლიტრი ბენზინის ფასი 35 თეთრით გაიაფდება. ამის შესახებ „კომერსანტს" ბიზნესის ანალიტიკოსმა ჯაბა თარიმანაშვილმა განუცხადა.

მისი ინფორმაციით, ბოლო პერიოდში აქტიურად ხდება დღგ-ს ავტომატური დაბრუნების შესახებ საუბარი, რომელსაც ნაწილი კომპანიებისა იყენებს, ხოლო მეორე ნაწილი შეიძლება თავს იკავებდეს. კარგი იქნებოდა დღგ-სთან დაკავშირებით არსებობდეს კიდევ უფრო მოქნილი მიდგომა.

– მაგალითად, ადრე იყო პრაქტიკაში დღგ-ს დაბეგვრის სპეციალური რეჟიმი, რა დროსაც კომპანია, რომელიც წლის განმავლობაში 200,000 ლარზე მეტს იხდიდა დღგ-ს სახით, თავისუფლდებოდა აღნიშნული გადასახადისგან. ხომ შეიძლება ეს რეჟიმი ახლაც აღდგეს? ამით სახელმწიფო ბიუჯეტს არაფერი მოაკლდება, საწვავი კი 35 თეთრით გაიაფდება (ეს არის 1 ლიტრ ბენზინში დღგ-ს წილი) და მოსახლეობის მძიმე ეკონომიკურ-სოციალური ფონი შედარებით შემსუბუქდება, – აცხადებს თარიმანაშვილი.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ მოხდა ბოლო პერიოდში საწვავზე ფასის კატასტროფულად ზრდა, თარიმანაშვილი აღნიშნავს, რომ ანალიტიკოსების პროგნოზით 2018 წლისათვის ნავთობის ფასი ბარელზე 70-80$-ის რადიუსში იყო მოსალოდნელი. აშშ-ს მიერ ირანზე დაწესებული სანქციების გამო, მოსალოდნელი იყო 2018 წლის ნოემბრიდან ირანის ექსპორტის მოცულობის დაკლება, რის ჩანაცვლებისთვისაც ემზადებოდნენ სხვა ექსპორტიორი ქვეყნები.

როგორც თარიმანაშვილი აღნიშნავს, ირანის ექსპორტის მოცულობებმა მოსალოდნელზე ადრე მოიკლო, რაც შესაბამისად აისახა ბაზარზე და ნავთობის ფასი ბარელზე ისევ 80-დოლარიან ნიშნულს მიუახლოვდა. მისი განცხადებით, გარკვეულწილად ფასის მატებას დამატებით ხელი ვენესუელის ეკონომიკური კრიზისით და ლიბიაში არსებული არასტაბილური ვითარების გამო გამოწვეულმა ექსპორტის მოცულობის დანაკლისებმაც შეუწყო.

– მოკლევადიანი რყევები დასტაბილურდება მომპოვებელი ქვეყნების ექსპორტის მოცულობების შესაბამისი კორექციით, მიუხედავად ამისა ერთ ერთი მსხვილი მომპოვებელი – საუდის არაბეთი ცდილობს ნავთობის ფასი ბარელზე 70-დოლარიან ნიშნულს არ ჩამოსცდეს, – აცხადებს თარიმანაშვილი.

რაც შეეხება საქართველოს, თარიმანაშვილი განმარტავს, რომ ჩვენი ქვეყანა დამოკიდებულია უცხოეთიდან იმპორტირებულ საწვავზე, შესაბამისად სარეალიზაციო ფასის ბაზისის დაანგარიშებისათვის გამოიყენება პლატსის პუბლიკაცია, რასაც ემატება ლოგისტიკისა და ოპერაციების პრემია, მრავლდება დოლარი-ლარის კურსზე, ემატება გადასახადები აქციზი ბენზინზე 500 ლარი/ტონაზე, ხოლოდ დიზელზე 400 ლარი/ტონაზე და დღგ–18%.

– შეიძლება ითქვას, 2018 წლის ბოლომდე, საცალო ქსელში დღეს არსებული ფასები უნდა აღვიქვათ, როგორც მაქსიმალური ზღვარი. შესაძლებელია მცირეოდენი კორექცია მოხდეს კლებისკენ, რადგან მომპოვებელი ქვეყნები ოქტომბრიდან ირანის ექსპორტის მოცულობების კლებით გამოწვეულ დისბალანსს დააბალანსებენ, – აცხადებს თარიმანაშვილი.

საწვავის ფასის კატასტროფულ ზრდაზე საუბრობდა ანალიტიკოსი მერაბ ჯანიაშვილიც. ანალიტიკოსმა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე საწვავის ფასის შესახებ გუშინ დაწერა.

– ბენზინი კიდევ გაძვირდა, 1 ლიტრში 2,67 ლარს ვიხდი, არნახულად ძვირია საქართველოს პირობებში. როგორც მახსოვს, ჩვენთან ასეთი ძვირი ნავთობი არასდროს ყოფილა, 2008 წელსაც კი, როცა 1 ბარელის ფასი 150 დოლარზე იყო ასული (ახლა 80-ის ფარგლებშია), – აცხადებდა ჯანიაშვილი.

რაც შეეხება დღეს საწვავზე არსებულ ფასებს, როგორც ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ვებგვერდზეა აღნიშნული, დღეის მდგომარეობით, „სოკარის" ავტოგასამართ სადგურებზე 1 ლიტრი „სუპერი" 2.64 ლარი ღირს, „პრემიუმის" ფასი 2.54 ლარია, „რეგულარის" ფასი 2.44 ლარს შეადგენს, „ევრო დიზელი" და დიზელი კი, დღეის მდგომარეობით, 2.52 და 2.42 ლარად იყიდება.

„გალფის" სადგურებზე ფასები ასე გამოიყურება: „სუპერის" ტიპის საწვავის ფასი დღეს 2.61 ლარია,„G-Force premiumis"-2.51 ლარი, „G-Force evro regularis– 2.45 ლარი. „ევრო დიზელის" ყიდვა – 2.54 ლარად არის შესაძლებელი; დიზელი 2.49 ლარი ღირს.

რაც შეეხება სხვა ავტოგასამართ სადგურებს, „ლუკოილის" სადგურებზე სუპერი ECTO 100-ის ტიპის საწვავი -2.60 ლარი ღირს, „ევრო სუპერის" ტიპის საწვავი 2.53 ლარი ღირს, „პრემიუმ ავანგარდი" – 2.42 ლარი, „ევრო რეგულარი" – 2.29 ლარი, „ევრო დიზელის" ფასი 2.42 ლარამდე გაიზარდა.

„ვისოლის" ავტოგასამართ სადგურებზე „ეკოსუპერის" ფასი 2.65 ლარს შეადგენს, „ეკოპრემიუმი" 2.57 ლარი ღირს. „ევრო რეგულარი" 2.47 ლარი, „ევრო დიზელის" ფასი 2.52 ლარს შეადგენს, „ეკო დიზელის" – 2.56 ლარი. „დიზელ ენერჯის" ფასი 2.46 ლარამდეა მომატებული.

„რომპეტროლის" სადგურებზე „სუპერის" ფასი 2.67 ლარს შეადგენს, „ ევრო პრემიუმის" ფასი 2.59 ლარამდეა გაზრდილი, „ევრო რეგულარის" ტიპის საწვავი 2.49 ლარი ღირს.

ამასთან, „ეფიხ ევრო დიზელი", დღეის მდგომარეობით, 2.54 ლარი ღირს, ხოლო 1 ლიტრი „ევრო დიზელი – 2.49 ლარი.

# ზეთსა და შაქარზე ფასის კლებამ ხორბლის ფასის მატება დააბალანსა



გლობალურმა ფასებმა ხორბალზე მკვეთრად მოიმატა, ხოლო მცენარეულ ზეთსა და შაქარზე დაიკლო, შედეგად,FAO-ს სურსათის ფასების ინდექსი აგვისტოში სტაბილური დარჩა.

სურსათის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გუშინ გამოქვეყნებულმა ყოველთვიურმა სურსათის ფასის ინდექსმა აგვისტოში 167.6 ქულა შეადგინა, თითქმის იგივე, რაც ივლისში და 5.4 პროცენტით ნაკლები, ვიდრე 2017 წლის აგვისტოში. FAO-ს სურსათის ფასების ინდექსი წარმოადგენს ძირითადი საკვები პროდუქტების კალათაში საერთაშორისო ფასების ყოველთვიური ცვლილების საზომს.

FAO-ს მარცვლეულის ფასების კოეფიციენტი ერთ თვეში 4.0 პროცენტით გაიზარდა. ეს ძირითადად ხორბლის ფასის გაორმაგებამ განაპირობა, რაც ევროპასა და რუსეთში მოსავლის შემცირების პროგნოზმა გამოიწვია. 3 პროცენტით გაიზარდა სიმინდის ფასი, ხოლო ბრინჯი იგივე ნიშნულზე დარჩა.

FAO-ს მცენარეული ზეთის ფასების კოეფიციენტი ივლისიდან 2.6%-ით შემცირდა და მიუახლოვდა სამი წლის წინანდელ ნიშნულს პალმის, სოიოსა და მზესუმზირის ზეთზე. პალმის ზეთის ფასის შემცირება იმპორტზე დაბალმა გლობალურმა მოთხოვნამ განსაზღვრა.

FAO-ს რძის ფასის ინდექსი მესამე თვეა მცირდება, ამჯერად მან 1.5 პროცენტით დაიწია. ვიდრე ევროპასა და ავსტრალიაში გვალვების გამო შესაძლოა რძის წარმოება შემცირდეს, ახალი ზელანდია დამაიმედებელ პროგნოზს აკეთებს.

5.4 პროცენტით შემცირდაFAO-ს შაქრის ფასის კოეფიციენტი და ბოლო ათწლეულში ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია. მიზეზი ყველაზე მსხვილ ექსპორტიორ ქვეყნებში, ბრაზილიასა და ინდოეთში ვალუტის გაუფასურება გახდა.

FAO-ს ხორცპროდუქტების ფასის კოეფიციენტი აგვისტოში უცვლელი დარჩა. ღორისა და ცხვრის ხორცზე მოთხოვნა გაიზარდა ჩინეთში, რამაც შეამცირა ფასი ფრინველის ხორცზე.

# სახანძრო დეპოებში საბჭოთა ავტოპარკი ახლით ჩანაცვლდება



საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა სამაშველო ჯგუფებისთვის 20 მაღალი გამავლობის პიკაპის შესაძენად ტენდერი გამოაცხადა. ასევე, დაგეგმილია ახალი სახანძრო მანქანებისა და აღჭურვილობის შეძენა.

– მთავრობამ მოიწონა ჩვენი წინადადება, რომლის მიხედვითაც, გამოცხადდება ტენდერი 20 მაღალი გამავლობის პიკაპის შესაძენად. ეს პიკაპები განკუთვნილი იქნება სამაშველო ჯგუფებისთვის. გარკვეულ რეგიონებში იყენებენ საბჭოთა წარმოების ტექნიკას და ამ შესყიდვით ჩვენ წერტილს დავუსვამთ საბჭოთა ტექნიკის გამოყენებას. რაც შეეხება სახანძრო მიმართულებას, გაგრძელდება შესყიდვები. ახლა მიმდინარეობს დაგეგმვის პროცესი. ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას რამდენიმე მსხვილ ევროპულ სახანძრო მწარმოებელ კომპანიასთან და მომავალი 2-3 წლის განმავლობაში საქართველოს სახანძრო დეპოებში არც ერთი საბჭოთა წარმოების მანქანა აღარ იქნება. ასევე, ვგეგმავთ დამატებითი აღჭურვილობის შეძენას, – განაცხადა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილემ შალვა ხუციშვილმა.

ხუციშვილმა ასევე აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს საქართველომ ტყის ხანძრებთან საბრძოლველად 13 მილიონი ლარის ტექნიკა შეიძინა, რამაც სტიქიასთან ბრძოლის ეფექტიანობა გაზარდა.

BFM.GE

# მიწაში დამარხული ოქროს ეფექტი – რესურსები, რომელსაც სახელმწიფო არ იყენებს



სავალუტო ფონდის მისიამ საქართველოს ეკონომიკის 2018 წლის ზრდის პროგნოზი წლიურ 5,5 პროცენტამდე ასწია. ეკონომიკის ექსპერტ ირაკლი მაკალათიას შეფასებით, აღნიშნული პროგნოზი სავსებით რეალისტური, მაგრამ არასაკმარისია.

მაკალათია აღნიშნავს, იმისათვის, რომ გვქონდეს გაცილებით მაღალი ეკონომიკური ზრდა და ეს ყველაფერი მოსახლეობამ საკუთარ ჯიბეზე იგრძნოს, სახელმწიფომ ყველა მის ხელთ არსებული ბერკეტი უნდა აამუშაოს, რომელიც დღეს შესაძლოა მიძინებული იყოს.

– ჩვენ გვაქვს აქტივები, რომლებსაც არ ვიყენებთ. საუბარია, აქტივებზე, რომლებიც არის სახელმწიფოს საკუთრება და რომლის ეკონომიკური ღირებულებაც ნულის ტოლია. მათ არც სახელმწიფო აწარმოებს, არც კერძო სექტორი და შესაბამისად, მიწაში დამარხული ოქროს ეფექტი აქვს. ეს აქტივებია:

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლის 70%-ც, (მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგებით) სახელმწიფო საკუთრებაა. იმისთვის, რომ უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდა გვქონდეს მათი მოსახლეობაზე განკერძოებაა საჭირო.

წიაღისეული რესურსი – საქართველოში დაახლოებით 960 საბადო და ნახევრადძვირფასი და სანაკეთო ქვების გამოვლინებაა, რაც 100%-ით სახელმწიფო საკუთრებაა. ამ აქტივებზე 61 ლიცენზიაა გაცემული, რომელიც გარკვეულ პერიოდს მოიცავს. ლიცენზიის მფლობელის ინტერესში კი არ შედის, რომ მაღალტექნოლოგიური დანადგარები შეიტანოს, მისი მთავარი ინტერესია დროულად იშოვოს ფული და წიაღისეული დაბალი ტექნოლოგიით მოიპოვოს.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები – გვაქვს უამრავი სახელმწიფო შენობა-ნაგებობა, რომელთა დაახლოებით 70-80% სახელმწიფო საკუთრებაშია. იმისთვის, რომ ეფექტურად მოხდეს მათი გამოყენება, ეს ქონება დროულად არის გადასაცემი კერძო საკუთრებაში. საქართველოში ტყის რესურსი 100%-ით სახელმწიფო საკუთრებაა. ასეთი რამ კი თითქმის არცერთ ქვეყანაში არ ხდება.

სახელმწიფო საწარმო – საქართველოში 135 სახელმწიფო საწარმოა, რომლებიც ბიუჯეტიდან ფინანსდებიან. ამ საწარმოებს რეალურად ჩვენი გადასახადებიდან ვაფინანსებთ და წაგებაზე მუშაობენ. არსებული ინფორმაციით, მათგან 7 საწარმო გაკოტრების გზაზე დგას. ანუ ყველა ეს აქტივი უნდა გადავიდეს კერძო საკუთრებაში, თუ გვინდა, რომ ქვეყანაში ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვქონდეს, – აღნიშნავს მაკალათია.

BPN

# საქართველო და ყაზახეთი ყაზტრანსგაზ–თბილისთან დაკავშირებული დავის მშვიდობიანად მოგვარებას ცდილობენ




„ყაზტრანსგაზ-თბილისის" გაყიდვასთან დაკავშირებით კვლავ ინფორმაციის დეფიციტია.

– საქართველოს მთავრობა და „ყაზტრანსგაზი" ცდილობენ, მშვიდობიანად მოაგვარონ დავა „ყაზტრანსგაზ-თბილისის" სტატუსთან დაკავშირებით.

ამის შესახებ „ინტერფაქსს" „ყაზტრანსგაზის" გენერალური დირექტორის მოადგილე დაირ კუშეროვმა განუცხადა.

კუშეროვი დეტალებზე არ საუბრობს. მისი თქმით, საქმე ჯერ კიდევ საარბიტრაჟო დავაშია, საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს რეგლამენტით კი, თუ წერილობითი თანხმობა არ არსებობს, მხარეები ვალდებულნი არიან, კონფიდენციალობა დაიცვან.

ამ მიზეზით კომპანიის წარმომადგენლებს „ყაზტრანსგაზ-თბილისის" საქმის დეტალებზე საუბარი არ შეუძლიათ. არ იმას აზუსტებენ, რა საკითხებზე მიდის შეთანხმება.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის მარტში „ყაზტრანსგაზმა" მიიღო გადაწყვეტილება თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანიის „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფისთვის" მიყიდვაზე. გარიგების ღირებულება 40 მლნ დოლარი უნდა იყოს. თუმცა, გადაწყვეტილება ყაზახეთის ეკონომიკის მოდერნიზაციის სახელმწიფო კომისიის თანხმობას საჭიროებს.

შეგახსენებთ, ყაზტრანსგაზთან საარბიტრაჟო დავაში საქართველოს ინტერესებს გლობალური იურიდიული კომპანია ჭჰიტე & ჩასე იცავს.

ყაზახურმა „ყაზტრანსგაზმა" საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ დავა 2017 წლის 11 აპრილს დაიწყო. ინვესტორი 130 მილიონი აშშ დოლარის დაბრუნებასა და დამატებით ზარალის 50 მილიონი დოლარის ანაზღაურებას ითხოვს.

GBC

# 7 თვეში საქართველოს დერეფანში 21.5 მლნ ტონა ტვირთი გადაიზიდა



21.5 მილიონი ტონა ტვირთი და 252 864 TEU კონტეინერი – ასეთია საქართველოს დერეფანში ტვირთბრუნვის 7 თვის სტატისტიკა.

ტვირთებში კლებაა – 0.1 მლნ ტონა. კონტეინერებში ზრდა – 21%.

გასული წლის ჯამურ მაჩვენებელთან (41.5 მლნ) დასაწევად დარჩენილ 5 თვეში საქართველოში კიდევ 20.5 მლნ ტონა ტვირთის გატარება უნდა მოხდეს.

7 თვის სტატისტიკით, საავტომობილო გზით 15.5 მლნ ტონა ტვირთი გადაიზიდა (+0.2 მლნ), რკინიგზით 5.9 მლნ (-0.2 მლნ), საჰაერო გზით 13.7 ათასი ტონა (-6.2 ათასი).

GBC

# სექსუალური ხასიათის მესიჯები და გარყვნილი ქმედება არასრულწლოვანთან ბრალდებულს 12 წელი მიესაჯა

14 წელს მიუღწეველთან ჩადენილი გარყვნილი ქმედებისთვის ბრალდებულს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და 14 წელს მიუღწეველთან ჩადენილი სექსუალური ხასიათის სხვაგვარი და გარყვნილი ქმედებისთვის ბრალდებული რ.მ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ რ.მ. 2018 წლის 22 ივნისიდან 2018 წლის 6 ივლისამდე 14 წელს მიუღწეველ გოგონას სისტემატიურად უგზავნიდა სექსუალური ხასიათის მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს, ასევე მის მიმართ განახორციელა სექსუალური ხასიათის სხვაგვარი და გარყვნილი ქმედება.

სამართალდამცველებმა რ.მ. 2018 წლის 9 ივლისს ქ.თბილისში დააკავეს. რ.მ.-ს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება 14 წლის მიუღწეველთან) და 141-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (გარყვნილი ქმედება თექვსმეტი წლის მიუღწეველთან) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ რ.მ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად დანაშაულთა ერთობლიობით 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# თურქეთში კანონიერი ქურდი რევაზ ბუხნიკაშვილი (პეწო) გარდაიცვალა



თურქეთში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 66 წლის ასაკში გავლენიანი კანონიერი ქურდი რევაზ ბუხნიკაშვილი (პეწო) გარდაიცვალა. ამის შესახებ გამოცემა „პრაიმ კრაიმი“ წერს.

გარდაცვალების მიზეზი ონკოლოგიური დაავადება გახდა, რომელიც ბუხნიკაშვილს 2017 წელს აღმოუჩინეს.

გამოცემის ინფორმაციით, ბუხნიკაშვილი ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთში 1952 წელს დაიბადა, კანონიერი ქურდის წოდება კი მან 1979 წელს მიიღო. საერთო ჯამში, პეწო ცხრაჯერ იყო ნასამართლევი.

ინტერპრესნიუსი

# ისანში მანქანა 2 სამარშრუტო ტაქსს დაეჯახა

## დაშავდა 4 პირი, მათგან 2 ბავშვია

თბილისში, ისანში, შავი ზღვისა და ქეთევან წამებულის ქუჩების კვეთაზე, მსუბუქი ავტომობილი შუქნიშანთან გაჩერებულ 2 სამარშრუტო ტაქსს უკნიდან დაეჯახა.

შემთხვევის შედეგად დაშავებულია 4 პირი, რომელთაგან 2 პირი ინგოროყვას კლინიკაშია გადაყვანილი.

ექიმების ინფორმაციით, ერთ-ერთი დაშავებული მცირეწლოვანი ბავშვია, რომელსაც თავის ტრავმა აღენიშნება.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის, 276 მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

**ნიუპოსტი**

# მაშველებმა მტკვარში გადამხტარი 73 წლის ქალი გადაარჩინეს

თბილისში, უზნაძის ქუჩაზე მაშველებმა 73 წლის ქალი გადაარჩინეს. ქალი მდინარე მტკვარში გადახტა, თუმცა მაშველებმა ის წყლიდან დროულად ამოიყვანეს მოქალაქის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

# „ქისტაურმა ესროლა ტორიაშვილს, შემდეგ კი არასრულწლოვნების თვალწინ ყელი გამოჭრა“

## ნიკოლოზ ქისტაურს 15 წელი მიესაჯა





გასული წლის 29 დეკემბერს თბილისში მომხდარმა საზარელმა მკვლელობამ საზოგადოება შეძრა. 19 წლის დავით ტორიაშვილის დასახიჩრებულ ცხედარს მხოლოდ 10 დღის შემდეგ მიაგნეს.

სასტიკ დანაშაულში ბრალდებული 27 წლის ნიკოლოზ ქისტაურია. როგორც ირკვევა, 19 წლის ბიჭის სადისტურ მკვლელობას თვითმხილველები ჰყავდა. თუმცა პირთა ფართო წრემ გამოძიებასთან არ ითანამშრომლა.

რეზონანსულ საქმეზე ბრალდებულის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა.

ნიკოლოზ ქისტაურს განზრახ მკვლელობის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისათვის, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება-გასაღებისათვის, 15 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

„საქმის არსებითად განხილვისას სასამართლო სხდომებზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, კერძოდ, მოწმეთა ჩვენებებით, შემთხვევის ადგილისა და საცხოვრებელი ბინის დათვალიერების ოქმებით, ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებებით, ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის დასკვნით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციით და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, უტყუარად დადასტურდა ნ. ქ.-ს მიერ ბრალად შერაცხულ დანაშაულთა ჩადენა.

საქმე ეხება, 2017 წლის 29 დეკემბერს, ბრალდებულის საცხოვრებელ ბინაში, სუფრაზე მომხდარი ურთიერთშელაპარაკებას, რა დროსაც არასრულწლოვანი თვითმხილველი მოწმეების თანდასწრებით, შურისძიების მოტივით, ნ.ქ.-მ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მის მიერ უკანონოდ შეძენილი და შენახული ცეცხლსასროლი იარაღიდან განზრახ მოკვლის მიზნით, დამიზნებით ესროლა დ. ტ.-ს. ბრალდებულმა დაჭრილს მეორედაც ესროლა, რა დროსაც ეს უკანასკნელი ძირს დაეცა, რის შემდეგადაც ნ.ქ.-მ აიღო დანა და წაქცეულს რამდენჯერმე დაარტყა ყელისა და ტანის არეში. მიღებული დაზიანებების შედეგად დ.ტ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. დანაშაულის დაფარვის მიზნით, ბრალდებულმა გვამი მდინარე მტკვართან ხევში გადააგდო და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. იმავე საღამოს, ნ.ქ. მეგობრებთან ერთად ხევში ჩავიდა და ერთ-ერთი მეგობრის დახმარებით, გვამი გადამალვის მიზნით მდინარე მტკვარში გადააგდო.

2018 წლის იანვრის დასაწყისში ბრალდებულმა, რომელიც დ.ტ.-ს მკვლელობის იარაღს ჩანთით ატარებდა, ცეცხლსასროლი იარაღი მეგობარს მიუტანა და მოახდინა მისი გასაღება. 2018 წლის 9 იანვარს, სამართალდამცველებმა მკვლელობის იარაღი ბრალდებულის მეგობრის საცხოვრებელი სახლის სარდაფიდან ნივთმტკიცებად ამოიღეს.

სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, ნ. ქ. დამნაშავედ ცნო ბრალად შერაცხულ დანაშაულთა ჩადენაში და მას დანაშაულთა ერთობლიობითა და სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, სასჯელის სახედ და ზომად, საბოლოოდ, 15 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ნ.ქ.-ს დანაშაულებრივი ქმედების უშუალო შემსწრე და მომხდარის თაობაზე ინფორმაციის მქონე არაერთი პირი მიცემულია სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში დანაშაულის შეუტყობინებლობისა და დანაშაულის დაფარვისათვის“ — ნათქვამია საქალაქო სასამართლოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# „შველას ითხოვდა — ქალი იდგა ალმოდებულ სახლში ჩვილთან ერთად“

## პატრულმა ჯემალ მორჩაძემ 3 თვის ბავშვის სიცოცხლე გადაარჩინა





„ნიუპოსტი“ 27 წლის პატრულ-ინსპექტორს გაგაცნობთ, რომელმაც თბილისში, ალმოდებული კორპუსიდან ჩვილი უვნებლად გამოიყვანა.

27 წლის ჯემალ მორჩაძე „ნიუპოსტთან“ ყვება, რა სურათი დახვდათ მას და მის მეწყვილე გიორგი ჯანგირაშვილს გლდანის მეორე მიკრორაიონში, სადაც საცხოვრებელი კორპუსის მერვე სართულზე 60 კვ. მ. ფართი მთლიანად დაიწვა.

დამწვარია საოჯახო ნივთებიც. ადგილზე 4 სახანძრო-სამაშველო ჯგუფთან ერთად, საპატრულო და სასწრაფო დახმარების ბრიგადები მუშაობდნენ.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, ძლიერი დაკვამლიანების გამო, მეხანძრე-მაშველებმა კორპუსის მე-9 სართულიდან 4 მოქალაქე გამოიყვანეს. მათ შორის, 2 მცირეწლოვანი.

— სანამ საუბარს დავიწყებდეთ, მინდა ვთქვა, რომ ძალიან მეუხერხულება, როცა ამბობენ, რომ დღის გმირი ვარ. გმირია ყველა ის ადამიანი, ვინც დღეს შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა, ყველა მეხანძრე-მაშველი და ყველა პოლიციელი.

ინფორმაცია შემოვიდა, რომ გლდანში ძლიერი ხანძარი იყო, მე და ჩემი მეწყვილე, გიორგი ჯანგირაშვილი, შემთხვევის ადგილზე მივედით, ადგილზე დაგვხვდნენ სახანძრო-სამაშველო ჯგუფები, რომლებიც ემზადებოდნენ. ხანძარი საცხოვრებელი კორპუსის მერვე სართულზე იყო, მეცხრე სართულზე კი ძლიერი დაკვამლიანება იყო, სწორედ მეცხრე სართულიდან გავიგეთ მამაკაცის ხმა, რომელიც შველას ითხოვდა და ამბობდა, რომ სახლში ცოლთან და მცირეწლოვან შვილებთან ერთად იმყოფებოდა და ჩამოსვლას ვერ ახერხებდა.

ბუნებრივია, მე და ჩემი მეწყვილე ოჯახის გადასარჩენად, მეცხრე სართულზე ავედით, წინ სამაშველო სამსახურის თანამშრომელი, შესაბამისი ატრიბუტიკით, მიგვიძღვოდა. ახალგაზრდა ქალი შევნიშნე, რომელსაც ბავშვი ეჭირა, გამოვართვი და, როგორც შემეძლო, იმ სისწრაფით გამოვიყვანე კორპუსიდან და ადგილზე მობილიზებულ სასწრაფო დახმარების ბრიგადას ჩავაბარე. ჩემმა მეწყვილემ ოჯახის სხვა წევრები გამოიყვანა, — გვითხრა საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა.

ჯემალ მორჩაძემ განგვიცხადა, რომ შემთხვევის შემდეგ, მცირეწლოვანები — 3 თვის და 2 წლის ბავშვები — საავადმყოფოში გადაიყვანეს.

— რამდენიმე წუთის წინ ვესაუბრე ბავშვების მამას, საბედნიეროდ, ორივე მათგანი თავს კარგად გრძნობს.

ჯემალი თავადაც პატარას მამაა, ახალგაზრდამ ოჯახი რამდენიმე წლის წინ შექმნა. დღის გმირი, ჯემალ მორჩაძე, საპატრულო პოლიციის რიგებში 2013 წლიდან ირიცხება.

# ზურაბ გორნაკაშვილმა საპროცესო შეთანხმებაზე უარი თქვა



ტერორიზმის მხარდაჭერის საქმეზე ბრალდებული ზურაბ გორნაკაშვილი საპროცესო შეთანხმებაზე უარს ამბობს და საქმის არსებით განხილვას ითხოვს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ბრალდებულის ადვოკატმა ირაკლი ბენიამ განუცხადა, საკუთარი პოზიცია გორნაკაშვილმა სასამართლოზე დააფიქსირა.

ტერორიზმის მხარდაჭერის საქმეზე ბრალდებულ ორ პირთან — ზურაბ გორნაკაშვილთან და ბადურ ჩოფანაშვილთან — სახელმწიფო ბრალდებას საპროცესო შეთანხმების პირობები უკვე შეთანხმებული ჰქონდა. ორივე ბრალდებულს სამწლიანი რეალური სასჯელი და ასევე პირობითი მსჯავრიც უნდა შეფარდებოდათ, თუმცა ამ ეტაპზე გორნაკაშვილმა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე უარი განაცხადა.

რაც შეეხება მეორე ბრალდებულს, ბადურ ჩოფანაშვილი კვლავ მზადაა, პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმება გააფორმოს, თუმცა, როგორც მისი ადვოკატი დალი ბარბაქაძე აცხადებს, გორნაკაშვილის პოზიციიდან გამომდინარე, მისი დაცვის ქვეშ მყოფთან შეთანხმება, საქმეზე საბოლოო განაჩენის გამოტანამდე, ვერ გაფორმდება. ბარბაქაძის ინფორმაციით, სასამართლოს მხრიდან საქმეზე საბოლოო განაჩენის გამოტანის შემდეგ ჩოფანაშვილთან საპროცესო შეთანხმება იმ პირობებით გაფორმდება, რომლებიც მხარეებს შორის უკვე შეთანხმებულია.

ზურაბ გორნაკაშვილი და ბადურ ჩოფანაშვილი სუს-მა 2017 წლის 26 დეკემბერს, პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დააკავა. მათ გამოძიება ტერორიზმში ბრალდებულთა ჯგუფთან კავშირს და მათ მხარდაჭერას ედავება.

ამავე საქმეზე დაკავებულ სხვა პირებს კი თბილისის საქალაქო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი უკვე გამოუტანა.

კერძოდ, ტერორისტული ორგანიზაციის წევრობის, ტერორისტული მიზნებით იარაღის უკანონო ტარების, ტერორისტული აქტის მომზადებისა და საზღვრის უკანონო კვეთისთვის რუსლან შავაძეს და შოაიფ ბორზიევს 13-13 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ.

ტერორიზმის ხელშეწყობასა და სხვა მატერიალური საშუალებებით უზრუნველყოფაში ბრალდებულებს, რუსლან ალდამოვს და ანატოლი ბერძენიშვილს 11-11 წლით, რამაზ მარგოშვილს 12 წლით, ზურაბ იდოიძეს კი 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ.

# ტრამპი „ნიუ-იორკ ტაიმსის“ წინააღმდეგ



გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებულმა სტატიამ მთელი ამერიკა ფეხზე დააყენა. მისი ავტორი ტრამპის ადმინისტრაციის ერთ-ერთი მაღალჩინოსანია. მან საკუთარი გვარის გამხელა არ ისურვა, თუმცა, ისეთი ფაქტები მოიყვანა, რომ ტრამპისა და მთელი მისი გუნდის იმიჯი შეილახა.

ავტორი დონალდ ტრამპის პერსონას დიდ ყურადღებას უთმობს. ის ხაზს უსვამს, რომ ტრამპი შესანიშნავი ბიზნესმენი, მაგრამ ცუდი პოლიტიკოსია. სწორედ ამან გამოიწვია რიგი ილუზიები. კერძოდ, პრეზიდენტს გულწრფელად სჯერა, რომ პუტინის რუსეთთან შეთანხმება შესაძლებელია.

– მას ვერ შეუგნია, რომ შეთანხმება უკანდახევაა. ესაა გლობალური უკანდახევა, რაც აშშ-ის პრესტიჟსაც შელახავს და ძლიერებასაც, – ნათქვამია სტატიაში.

სტატიის ავტორი მკითხველს ამცნობს, რომ თეთრ სახლში წინააღმდეგობის ჯგუფი არსებობს. ის ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ აშშ-ის გლობალური უკანდახევა არ დაუშვას და ამერიკას ზესახელმწიფოს სტატუსი შეუნარჩუნოს. ის წარმატებები, რომლებსაც ამერიკამ უკანასკნელ ხანს მიაღწია, ამ ჯგუფის საქმიანობის ეფექტური მუშაობის შედეგია და არა ტრამპის.

– მე ამ ჯგუფს განვეკუთვნები, – წერს ავტორი.

დონალდ ტრამპმა სტატიას ცილისწამება უწოდა. მან განაცხადა, რომ სტატიის ავტორი რომელიღაც ჟურნალისტია, გაზეთის რედაქცია კი ცრუობს, როცა ამბობს, რომ ის ტრამპის ადმინისტრაციის წევრია.

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ რედაქტორმა პასუხი არ დააყოვნა. მან განაცხადა, რომ სტატიის დაბეჭდვის შესახებ გადაწყვეტილება მხოლოდ მას შემდეგ მიიღეს, რაც სტატიის ავტორს უშუალოდ გაესაუბრნენ.

ამის შემდეგ ტრამპმა თავშეკავება საბოლოოდ დაკარგა. მან განაცხადა, რომ მის გუნდში მოღალატეები ყოფილან და გაზეთისგან ანონიმი ავტორის ვინაობა მოითხოვა.

– მსურს ვიცოდე, ვინაა ეს ვირთხა! – თქვა ტრამპმა.

ეს ყველას აინტერესებს. ერთნი თვლიან, რომ სტატია თავად სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ დაწერა. მან ეს უარყო.

– სტატიის ავტორი მე არა ვარ! – თქვა პომპეომ.

მეორენი თვლიან, რომ სტატიის ავტორი აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი მაიკ პენსია. მან ეს საჯაროდ, ტელევიზიით უარყო.

ასეა თუ ისე, სტატიამ არჩევნების წინ ტრამპის პოზიციები კიდევ უფრო შეასუსტა. ამით აიხსნება ის, რომ აშშ-ის პრეზიდენტთან დაახლოებული პირები უკვე წონასწორობას კარგავენ.

– „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ადრე ავტორიტეტული იყო. ახლა ყველანი მისი დეგრადაციის მოწმენი გავხდით, – ამბობს თეთრი სახლის წარმომადგენელი სარა სანდერსი.

რა გავლენას იქონიებს სტატია არჩევნების შედეგებზე? უდავოა ერთი: აშშ-ში მართლაც არსებობენ „იზოლაციონისტები,“ რომლებიც ამტკიცებენ, ევროპაში არაფერი გვესაქმება, უკრაინა, საქართველო, სირია ჩვენი პრობლემა არ არის, ჩვენ ამერიკული მრეწველობის აღორძინება უნდა უზრუნველვყოთო.

დღეს ამ ძალების პოზიცია ძლიერ შეირყა. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ სტატიამ მათ კიდევ ერთი მძლავრი დარტყმა მიაყენა. აშშ-ისა და რუსეთის დაპირისპირება გრძელდება და მანამ გაგრძელდება, სანამ რუსეთი აგრესიულ იმპერიულ სახელმწიფოდ დარჩება.

# სკრიპალების მოწამვლის საქმე გაეროში განიხილეს

## პუტინი ხულიგანივით იქცევა




სკრიპალების მოწამვლის საქმე გაეროს უშიშროების საბჭოზე განიხილეს. ბრიტანეთის წარმომადგენლის, პირსის სიტყვებმა, რომ სკრიპალები რუსეთის სპეცსამსახურების მიერ არიან მოწამლული, რუსეთის წარმომადგენელი ნებეზნია აღაშფოთა.

– ეს ბოდვაა! – თქვა მან.

უმრავლესობამ ბრიტანელთა მიერ მოყვანილი არგუმენტები გაიზიარა, მათ შორის აშშ-მ, კანადამ, გერმანიამ და ა.შ.

– ჩვენ სკრიპალების მომწამვლელთა გადმოცემას არ მოვითხოვთ, რადგან ვიცით, რომ ეს შეუძლებელია! რუსეთი თავის მოქალაქეებს არავის გადასცემს, თუნდაც ისინი მკვლელები და ტერორისტები იყვნენ, – განაცხადა პირსმა.

ბრიტანეთის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ტერორისტების ძებნას ინტერპოლი დაიწყებს, რუსეთს კი ახალ სანქციებს დაუწესებენ.

ამასობაში აშშ-ის სენატში რუსეთისთვის დამატებითი სანქციების დაწესების თაობაზე მოსმენები გაიმართა.

მას რუსეთში აშშ-ის ელჩი ფრიდიც დაესწრო. მან აღნიშნა, რომ სანქციები ინსტრუმენტია საიმისოდ, რომ რუსეთმა თავისი აგრესიული პოლიტიკა შეცვალოს.

– ჩვენ იძულებულნი ვართ, სანქციები შემოვიღოთ, რადგან რუსეთი აგრესიულად იქცევა, – თქვა ფრიდმა.

გამომსვლელთა უმრავლესობა ერთსულოვანი იყო იმაში, რომ რუსეთი აშშ-ის სტრატეგიული მოწინააღმდეგეა. რაც შეეხება სანქციებს, მათი შემოღება იმიტომ გახდა აუცილებელი, რომ მოსკოვი თამაშის წესებს არ იცავს.

– პუტინი ხულიგანივით იქცევა! ხულიგანს კი საკადრისად ეპყრობიან, – თვლიან ამერიკელი სენატორები.

# ფხენიანში ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის სამიტი გაიმართება



ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ხელმძღვანელები სამიტის გამართვაზე შეთანხმდნენ.

სამიტი ფხენიანში 18-20 სექტემბერს გაიმართება.

– ჩვენ მტკიცე კურსი ავიღეთ როგორც აშშ-სთან, ასევე სამხრეთ კორეასთან დაახლოებაზე, – ამბობს ჩრდილოეთ კორეის დიქტატორი კიმ ჩენ ინი.

ჟურნალისტებთან საუბარში მან კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ კურსი ბირთვული განიარაღების თაობაზე შეუქცევადია.



# ირანში მიწისძვრა მოხდა

ირანის სამხრეთ-აღმოსავლეთში 5,5 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა.

მიწისძვრის ეპიცენტრი ქერმანის პროვინციაში, ქალაქ ბამიდან 126 კილომეტრში, მიწისძვრის კერა კი 10 კილომეტრის სიღრმეზე მდებარეობს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


# განცხადებები

### სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ოთხი მსოფლიოს ჩემპიონის ინტერვიუ



გერმანულმა ბილდმა 4 გერმანელი მსოფლიოს ჩემპიონი, 4 ლეგენდარული ფეხბურთელი ერთად შეკრიბა და გულახდილად ალაპარაკა – ჰორსტ ეკელი, ფრანც ბეკენბაუერი, ლოთარ მათეუსი და ფილიპ ლამი.

***– ჩვენ ახლა მიუნხენის ოლიმპიაშტადიონის გასახდელში ვიმყოფებით, ზუსტად ისე, როგორც მსოფლიოს ჩემპიონი გერმანიის ნაკრები 1974 წლის ფინალის წინ. არის თუ არა ფეხბურთელისთვის გასახდელი განსაკუთრებული ადგილი?***

**ჰორსტ ეკელი:** ჩვენთვის გასახდელი უბრალოდ სამუშაო ოთახი იყო. თქვენთვის?

**ფრანც ბეკენბაუერი:** ეს არის ერთადერთი ადგილი, სადაც დიდი მატჩის წინ მშვიდად ხარ. ერთადერთი ადგილი, სადაც შეგიძლია მოდუნდე, საკუთარ თავთან განმარტოვდე და კონცენტრირება მოახდინო. ჰო, ჩვენ დროს მობილური ტელეფონები არ არსებობდა...

**ლოთარ მათეუსი:** ადრე, როცა ბეკენბაუერი გერმანიის ნაკრების მწვრთნელი იყო, გასახდელიდან ყოველთვის აგდებდა იმ ფეხბურთელებს, რომლებიც განსაკუთრებულ მოთამაშეთა სიაში არ იყვნენ.

**ფილიპ ლამი:** გასახდელი ყოველთვის საკუთარი სახლის განცდას მიტოვებდა. ყოველთვის ვიცოდი, ვინ იჯდა ჩემ გვერდით. ეს თომას მიულერი გახლდათ და, შესაბამისად, სიმშვიდე გამორიცხული იყო.

***– როგორ ფიქრობთ, ოდესმე პირდაპირ ეთერში ვნახავთ გუნდის გასახდელს?***

**მათეუსი:** დარწმუნებული ვარ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ესეც მოხდება. ისეთი რაღაცები გველის, რასაც ახლა ვერც კი წარმოვიდგენთ. 20 წლის წინ ვინმე იფიქრებდა, რომ გასახდელში ფეხბურთელების ზეიმს 1 წუთში მთელი მსოფლიო ნახავდა?

**ლამი:** მეც მიმაჩნია, რომ ეს მალე მოხდება. თუმცა მგონია, რომ გასახდელი ფეხბურთელების განმარტოების ადგილად უნდა დარჩეს.

***– ჰერ ეკელ, 1954 წელს თქვენ ბერნის გმირებიდან ყველაზე ახალგაზრდა იყავით. როგორ შეცვალა იმ ტიტულმა გერმანია?***

**ეკელი:** სიმართლე გითხრათ, მხოლოდ გერმანიაში დაბრუნების შემდეგ მივხვდით, რეალურად რას მივაღწიეთ და როგორი გმირები ვიყავით. ეს მაშინ მოხდა, როცა მატარებელი სადგურზე შევიდა და საზეიმოდ მოსული უამრავი ადამიანი დავინახეთ. ამ ტიტულმა გერმანიას ახალი თავდაჯერება შესძინა. ამ ტიტულის შემდეგ თავები ისევ მაღლა ავწიეთ!

**ბეკენბაუერი:** თამამად ვიტყვი, რომ 1954 წლის ტიტული გერმანული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატება იყო. ამ ტიტულმა გერმანია მსოფლიო საზოგადოებაში დააბრუნა.

**მათეუსი:** იცით, რა მაინტერესებდა ყოველთვის? როდესაც 1954 წლის ტრიუმფზე საუბრობენ, ყველა მხოლოდ მწვრთნელ ზეპ ჰერბერგესა და კაპიტან ფრიც ვალტერს ახსენებს. გუნდში სხვა არავინ იყო, ვისაც წონადი სიტყვა ეთქმოდა?

**ეკელი:**არა. სწორედ ეს 2 ადამიანი წყვეტდა, რა და როგორ უნდა ყოფილიყო, ვის რა უნდა ეთქვა და ა.შ.

***– ჰერ ბეკენბაუერ, ბერნის სასწაულის დღეს თქვენ 9 წლის იყავით. სად ნახეთ უნგრეთთან გამარჯვება?***

ბეკენბაუერი: სამწუხაროდ, იმ დროს სახლში ტელევიზორი ჯერ არ გვქონდა. შესაბამისად, რეპორტაჟს რადიოში ვუსმენდით. როგორც კი მატჩი დამთავრდა, უბანში ოვაციები ატყდა. ჩვენ, პატარა ბიჭები მაშინვე გარეთ გამოვედით, როლები გავინაწილეთ და ფეხბურთის თამაში დავიწყეთ. მე ფრიც ვალტერი ვიყავი. ბოდიში, ჰორსტ.

***– ჰერ მათეუს, 1974 წლის ფინალის დღეს 13 წლის იყავით. თქვენ ვისი როლი გერგოთ ეზოში?***

**მათეუსი:** იმ დიდი ფეხბურთელის, რომელსაც მაშინდელ მუნდიალზე არანაირი როლი არ უთამაშია – გიუნტერ ნეტცერს ვგულისხმობ. ნეტცერი ჩემი კუმირი იყო.

**ლამი:** მე ყველაზე პატარა ვარ. 1990 წლის მუნდიალზე 2 ფეხბურთელით ვიყავი აღფრთოვანებული. პირველი შენ იყავი, ლოთარ, მეორე – პიერ ლიტბარსკი. შესაძლოა იმიტომ, რომ ორივე ჩემსავით დაბლები იყავით...

***– რას ნიშნავდა 74 წლის ტრიუმფი ქვეყნისთვის?***

**ბეკენბაუერი:** ამ ჩემპიონატის 1954 წლის სასწაულთან შედარება არ შეიძლება. 74-ში გერმანია ეკონომიკურად ისევ ძლიერი ქვეყანა იყო, თქვენ კი, ჰორსტ, 54-ში მხოლოდ პატრიოტული გრძნობებით განმსჭვალულნი თამაშობდით. ცხადია, ჩვენც ძალიან გვიყვარდა გერმანია და ჩვენც გერმანიისთვის ვიბრძოდით, მაგრამ უკვე სხვა მოტივაციაც ბევრი იყო. 74 წლის მუნდიალის წინ გერმანიის საფეხბურთო კავშირთან პრემიების შესახებ საკმაოდ მკაცრი მოლაპარაკებები გვქონდა. ხომ ხვდებით, რასაც ვგულისხმობ?

***– 1990 წელს აღმოსავლეთგერმანელმა ფანებმა პირველად იზეიმეს დასავლეთგერმანელებთან ერთად. თუმცა, აღმოსავლეთის ფეხბურთელებს არ უთამაშიათ.***

**მათეუსი:** 1989-90 წლების სეზონში მილანის ინტერის ფეხბურთელი ვიყავი და იტალიაში ვცხოვრობდი, რის გამოც გერმანიის გაერთიანება რეალურად მუნდიალის დროს ვიგრძენი. დასავლეთ გერმანელი ფანები ძალიან მაგრად ზეიმობდნენ. მინდა ვთქვა, რომ 1990 წლის გუნდი გაცილებით ჰარმონიული იყო, ვიდრე 4 წლის წინანდელი მექსიკაში.

**ლამი:** ზუსტად ისე, როგორც ჩვენ შემთხვევაში. ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზე, როცა იტალიასთან წავაგეთ, გუნდში ყველაფერი იდეალურად არ იყო. მაშინ დაშვებულ შეცდომებზე ვისწავლეთ და შედეგი ორი წლის შემდეგ, 2014 წლის მუნდიალზე მივიღეთ. უდიდესი მარცხი ადამიანს ხშირად ძალიან აძლიერებს.

***– საუკეთესო დროში თამაში ფილიპ ლამს მოუწია?***

**ლამი:** დროს ვერ შეარჩევ. ვფიქრობ, ყველანი მადლობელი უნდა ვიყოთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონები ვართ. მე ყოველთვის თვალწინ მედგა ის კადრი, როცა ლოთარ მათეუსს 1990 წელს მსოფლიო თასი გადასცეს. მთელი ბავშვობა იმაზე ვოცნებობდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს მეც გამეკეთებინა. 2014 წელს, როცა დაჯილდოების ცერემონიალი ახლოვდებოდა, ასევე ლოთარი წარმომიდგა თვალწინ. და სწორედ იმ მომენტში, მხოლოდ მე ვიცოდი, რომ გერმანიის ნაკრებში ჩემი უკანასკნელი მატჩი ჩავატარე.

***– ოთხივე ყოფილი ფეხბურთელი ხართ. ოცნებობთ ხოლმე, რომ ახლაც ფეხბურთს თამაშობდეთ?***

**ლამი:** დიახ, რა თქმა უნდა. მე უფრო გარკვეულ სიტუაციებზე მიოცნებია – მაგალითად, გასახდელში ყოფნის მომენტზე, ან იმ წამებზე, როცა მოედანზე გადიხარ.

**ბეკენბაუერი:** მე სულ სხვა რაღაცებზე ვოცნებობ ხოლმე, მაგრამ ჩემს ოცნებებს ჩემთვის შევინახავ.

***– აქვს თუ არა თანამედროვე ფეხბურთელს მშობლიური კლუბის განცდა, თუ ფულია ყველასათვის მთავარი?***

**ლამი:** მე მხოლოდ საკუთარი თავიდან გამომდინარე შემიძლია ლაპარაკი. ჩემთვის მშობლიური გარემოს განცდა და მეგობრები ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მიუნხენიდან წასვლის მიზეზი არასდროს მქონია, შანსი კი იყო.

***– მაინც სად გეპატიჟებოდნენ?***

**მათეუსი:** ეგ ხომ ყველამ იცის.

**ლამი:** ამ კითხვას ლოთარი უპასუხებს.

**მათეუსი:** ბარსელონა! ფილიპის მსგავსი ადამიანები ცოტანი დარჩნენ. ვგულისხმობ ისეთებს, ვინც თავისი კლუბის ერთგულია და მშობლიურ გუნდს ფულზე არ ყიდის.

***– სად არის თქვენთვის მშობლიური ადგილი?***

**ლამი:** თუნდაც აქ, „ოლიმპიაშტადიონზე“, იმიტომ, რომ წლების განმავლობაში სწორედ ამ არენაზე ვიყავი ბურთის მიმწოდებელი და სტადიონთან ისე ახლოს ვცხოვრობდი, რომ ფანების ხმა სახლში გვესმოდა ხოლმე. კიდევ „ალიანც არენა“ და ბაიერნის ოფისი ზებენერშტრასეზე.

**ეკელი:** ჩემთვის ფოგელბახი პფალცის მხარეში – ადგილი, სადაც მთელი ცხოვრება გავატარე.

**მათეუსი:** ბავშვობაში ჩემი მშობლიური ადგილი ჰერცოგენაურახი იყო. ბოლო წლებში ასეთი ადგილი უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი გახდა. ბუდაპეშტში თავს ყველაზე კარგად ვგრძნობ.

**ბეკენბაუერი:** გიზინგი – სადაც გავიზარდე. ასევე ყველა ის ადგილი, სადაც ფეხბურთს ვთამაშობდი და ვცხოვრობდი. ნიუ იორკი, ჰამბურგი, კარიერის დასრულების შემდეგ – კიტცბიუჰელი, ახლა კი – ზალცბურგი. მნიშვნელობა არა აქვს, სად იცხოვრებ – მთავარია, იმის თამამად თქმა შეგეძლოს, რომ ცხოვრებაში ცოტა შეცდომა დაუშვი.

# ერთა თასი სტარტს იღებს

### ლატვია-ანდორა 0:0

**რიგა. დაუგავა**

**ლატვია:**ვანინსი, გაბოვსი, სოლოვიოვსი (კარაშაუკსი 76), დუბრა, იაგოდინსკისი, ლუკიანოსი, ფერტოვსი, კლუსკინსი, იკაუნეიკსი (ულდრიკისი 61), რაკეისი, საბალა (გუტკოვსკისი 84)

**ანდორა:** გომესი, ლიმა, ვალესი, რებესი, რუბიო, ლოვერა, ცერვოსი, ვიეირა (გარსია 90+5), მარტინესი (ალაეზი 71), სან ნიკოლასი, კლემენტე (როდრიგესი 81)

ერთა ლიგაზე ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეების ლატვიისა და ანდორას მატჩი 0:0 დასრულდა და ჩვენს ნაკრებს კიდევ უფრო გაუადვილა დასახული მიზნის მიღწევა.

საქართველოს ნაკრები ლატვიას 9 სექტემბერს თბილისში „დინამო არენაზე“ უმასპინძლებს.

ერთა ლიგაზე გუშინ ჩვენი ჯგუფის გარდა კიდევ 7 მატჩი გაიმართა. განსაკუთრებულ ინტერესს მიუნხენში გამართული გერმანიისა და საფრანგეთის შეხვედრა იწვევდა, რომელიც უგოლოდ დასრულდა.

### ლიგა ა. 1 ჯგუფი

### გერმანია-საფრანგეთი 0:0

**მიუნხენი. ალიანს არენა**

**გერმანია:** ნოიერი, კიმიჰი, ბოატენგი, რიუდიგერი, გორეცკა (გიუნდოგანი 66), კროოსი, გინტერი, მიულერი, ვერნერი, როისი (სანე 83)

**საფრანგეთი:** არეოლა, პავარი, ვარანი, უმტიტი, ერნანდესი, პოგბა, კანტე, მბაპე, გრიზმანი (ფეკირი 80), მატიუიდი (ტოლისო 86), ჟირუ (დემბელე 66)



არცთუ ხარისხიანი მატჩი გამოუვიდათ მყვირალა სახელების მქონე გუნდებს. ორივე ნაკრები ბოლო 2 მსოფლიოს ჩემპიონია. ალბათ სწორედ ეს სტატუსი უშლიდა ხელს ორივე გუნდს, ღია და გახსნილი ფეხბურთი ეთამაშათ – მეტოქეები ერთმანეთს ერიდებოდნენ, ეშინოდათ შეცდომების, ერთმანეთის...

პირველი ტაიმი მოსაწყენი იყო და ბრძოლა ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა, სახიფათო მომენტებიც ნაკლებად იყო. სამაგიეროდ, ბლომად იყო ტექნიკური წუნი.

შესვენების შემდეგ ფრანგები უფრო აგრესიულად ათამაშდნენ, გერმანელები საკუთარ საჯარიმოს მიამწყვდიეს, მაგრამ რამე განსაკუთრებული ხიფათის შექმნა მათაც უჭირდათ. იოაჰიმ ლიოვმა ცვლილებებს მიმართა და უცებ მოედანზე სხვა გერმანია გაჩნდა. ახლა უკვე ისინი დაეპატრონნენ მოედნის დიდ ნაწილს და სრულად აკონტროლებდნენ თამაშის მიმდინარეობას. მომენტები კი, იცოცხლეთ, იმდენი შექმნეს, 2 მატჩს მაინც ეყოფოდა მოსაგებად, მაგრამ...

საოცრებებს ჩადიოდა ალფონს არეოლა, ფრანგთა მეკარე, რომელმაც რამდენიმე „მკვდარი ბურთი“ მოიგერია და თავისიანები შინ ქულით წაიყვანა.

### ლიგა ბ. 1 ჯგუფი

### ჩეხეთი-უკრაინა 1:2

**უჰერსკე ჰრადიშტე. მიროსლავ ვალენტი**

1:0 შიკი (4), 1:1 კონოპლიანკა (45), 1:2 ზინჩენკო (90)

კარგი სანახაობა შესთავაზეს მაყურებელს ორივე გუნდმა. როგორც ჩანს, ჩეხებიცა და უკრაინელებიც ოფიციალურ ბატალიებს მოწყურებულნი იყვნენ და მოედანზე 3 ქულის ასაღებად იყვნენ გასული. საბოლოოდ, გამარჯვება უკრაინელებს დარჩათ და ისიც ბოლო წამებზე ჩეხთა მეკარისა და დაცვის შეუთანხმებელი თამაშის შედეგად. ზინჩენკომ შეცდომა არ აპატია და დასაჯა.

აღსანიშნავია, რომ უკრაინის ნაკრებში პირველად არ იყო კიევის დინამოს არც ერთი ფეხბურთელი.

### ლიგა ბ. 4 ჯგუფი

### უელსი-ირლანდია 4:1

**კარდიფი. კარდიფ სიტი**

1:0 ლოურენსი (6), 2:0 ბეილი (18), 3:0 რამზი (37), 4:0 რობერტსი (55), 4:1 უილიამსი (66)

ლეგენდარული ვალიელის, რაიან გიგზის დებიუტი წარმატებული გამოდგა. უელსმა 4:1 გაანადგურა ირლანდია.

სხვათა შორის, უელსს აქამდე ოფიციალურ მატჩში ირლანდია დამარცხებული არ ყავდა. ისიც კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა უელსი სწორედ ირლანდიამ დატოვა. მაშინ ორივე გუნდი საქართველოს ნაკრების ჯგუფში იყო. მარტინ ონილის გუნდი ფლეი ოფში გავიდა, სადაც დანიასთან დამარცხდა.

ამჯერად რევანში შედგა, თანაც სრულფასოვანი.

### ლიგა ც. 3 ჯგუფი

### ნორვეგია-კვიპროსი 2:0

**ოსლო. ულევალი**

1:0, 2:0 იოჰანსენი (20, 42)

სკანდინავიელებმა საკმაოდ იოლად, 2:0 დაამარცხეს კვიპროსელები და ფლეი ოფისკენ ნაბიჯი გადადგეს.

ორივე გოლის ავტორი ნორვეგიელთა კაპიტანი იოჰანსონია, რომელმაც შესანიშნავი მატჩი ჩაატარა.

### სლოვენია-ბულგარეთი 1:2

**ლიუბლიანა. სტოჟიცე**

0:1 კრაევი (3), 1:1 ზაიაცი (40), 1:2 კრაევი (59)

ფავორიტებად სლოვენიელები მიიჩნეოდნენ, მაგრამ ფეხბურთი იმიტომ არის საინტერესო, რომ ზუსტი შედეგი არავინ იცის.

სტუმრები დასაწყისშივე დაწინაურდნენ – ანგარიში კრაევმა გახსნა. სლოვენიელებმა მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ზაიაცის გოლის დაფასება მაინც ვერ მოახერხეს – იმავე კრაეცმა ბულგარეთს 3 ქულა მოუტანა.

### ლიგა დ. 4 ჯგუფი

### სომხეთი-ლიხტენშტეინი 2:1

**ერევანი. ვაზგენ სარგსიანი**

1:0 პიზელი (30), 1:1 ვოლფინგერი (33), 2:1 ბარსეგიანი (76)

გამოუყენებელი პენალტი: მხითარიანი (69)

გაძევება: პოლვერინო (74)

სომხეთის ნაკრებმა რთული ბრძოლა გადაიტანა ლიხტენშტეინთან. დიდი ხნის განმავლობაში ტაბლოზე ფრე იყო, მაგრამ მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე ბარსეგიანის გოლით გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ.

აღსანიშნავია, რომ ეს გოლი მაშინ გავიდა, როდესაც ლიხტენშტეინი მოედანზე კაცნაკლული იყო. მანამდე მხითარიანმა პენალტიც ვერ გაიტანა.

### გიბრალტარი-მაკედონია 0:2

**გიბრალტარი. ვიქტორია**

1:0 ტრიჩკოვსკი (19), 2:0 ალიოსკი (35)

ამ მატჩის უდავო ფავორიტი მაკედონია იყო და მარტივადაც მოიგო. ჯგუფის ერთ-ერთმა ფავორიტმა ტრიჩკოვსკისა და ალიოსკის გოლებით პირველივე ტაიმში გადაწყვიტა საქმე.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ვაისი ლატვიაზე ფიქრობს, სტოილოვი — საქართველოზე

ყაზახეთისა და საქართველოს დაპირისპირებით სტარტი აიღო უეფას ახალმა ტურნირმა, ერთა თასმა. სასიამოვნოა, რომ ტურნირის პირველი გამარჯვება ქართველებმა მოიპოვეს. პირველი გოლიც ქართული იყო – გიორგი ჩაკვეტაძემ პატარა შედევრი შექმნა. ამავე მატჩში დაფიქსირდა ტურნირის პირველი ავტოგოლიც, რომლის ავტორი სერგეი მალი გახდა.

ვნახოთ, რა ისაუბრეს მატჩის შემდეგ ორივე გუნდის მწვრთნელებმა და ფეხბურთელებმა.

**ვლადიმირ ვაისი:**

– მნიშვნელოვანი 3 ქულის მოპოვებით ძალიან ბედნიერი ვარ. თამაში კარგად ვერ დავიწყეთ, ყაზახეთი აქტიურობდა და კარგი პრესინგი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ დამსახურებულად მოვიგეთ. ასევე ვთვლი, რომ უკეთ თამაში შეგვიძლია – ზოგიერთმა ფეხბურთელმა სეზონი ახლა დაიწყო, ზოგს ტრავმა ახალი მორჩენილი აქვს. ეს მათ თამაშს საკმაოდ ეტყობოდა. რა თქმა უნდა, შეცდომა ყველას მოსდის, მაგრამ, ისეთი მომენტები, როგორებიც ნავალოვსკის, ქვილითაიასა და მერებაშვილს ჰქონდათ, აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. ასეთ შემთხვევაში თამაშის ბედს უფრო ადრე გადავწყვეტთ... ახალგაზრდა ჩაკვეტაძემ შესანიშნავი გოლი გაიტანა და მას ნამდვილად აქვს დიდი პოტენციალი... ეს მხოლოდ დასაწყისია – 3 დღის შემდეგ ლატვიას ვეთამაშებით, ძალიან მჭიდრო გრაფიკი გვაქვს. ბიჭებს კიდევ ერთხელ შევაქებ, ჩვენ მხოლოდ 2 დღე გვქონდა ყაზახეთთან მატჩისთვის მოსამზადებლად. ამ მოგების შემდეგ ახლა უკვე სრულად ლატვიასთან მატჩზე ვიფიქრებთ.



როგორც გითხარით, უეფას ერთა ლიგის გათამაშებაზე, პირველი გოლის ავტორი 19 წლის გიორგი ჩაკვეტაძე გახდა. ფეხბურთელმა შეხვედრის დასრულების შემდეგ მატჩთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა.

**გიორგი ჩაკვეტაძე:**

– ოფიციალურ თამაშში ჩემი პირველი გოლი იყო, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამ გოლით ნაკრებს გამარჯვებაში დავეხმარე. ახლა მთელი კონცენტრაცია ლატვიის წინააღმდეგ გასამართი მატჩისკენაა, სადაც აუცილებლად გვჭირდება გამარჯვება. აქედან გამომდინარე, ქართველ გულშემატკივარს მოვუწოდებ, მოვიდეს სტადიონზე და გვიქომაგოს.

**სტანიმირ სტოილოვი:**

– სამწუხაროა, რომ წავაგეთ. გოლები შეცდომების გამო გავუშვით. ჩაკვეტაძემ მაგარი გოლი გაიტანა. არ ვიყავით თავდაჯერებულები და შეტევაში აგრესიულები. ცოტა საგოლე მომენტები იყო. მეორე ტაიმი კარგად დავიწყეთ, ბურთი დავიჭირეთ და გოლი გავუშვით. შეტევაში კლასი არ გვეყო. გუნდი დიდი წნეხის ქვეშ იმყოფებოდა. ჩემი ფეხბურთელები საუკეთესო ფორმაში არ არიან. მეგონა კონტრშეტევებზე ვივარგებდით. პრობლემები გვაქვს. დაგვრჩა თუ არა შანსი? ჯერ უნდა მოვიგოთ. საქართველო ფავორიტად რჩება. თუმცა, ომი არ დასრულებულა. ყაზახეთს არასოდეს უთამაშია პირველ ნომრად, საქართველოსთან ეს ვცადეთ, მაგრამ ზოგიერთი ჩვენი ფეხბურთელი შეშინდა. მე არჩეული გზით სვლას გავაგრძელებ. თუ გინდა, მოიგო, არ უნდა შეშინდე.

**ნენად ერიჩი:**

– ახლა არ შეიძლება იმაზე ლაპარაკი, იყო თუ არა თანაბარი თამაში. მთავარია შედეგი. პირველი ტაიმი კარგად ჩავატარეთ, მეორე ტაიმში შეცდომები დავუშვით და გოლები გავუშვით. საქართველომ დამსახურებულად გაიმარჯვა. კი ვფლობდით ინიციატივას, თუმცა ამას კონკრეტიკა არ მოჰყვა. უპირატესობა ჩვენს მხარეს იყო, მაგრამ 2 მომენტი პირველ ტაიმში ქართველებმაც შექმნეს. მთლიანობაში თანაბარი თამაში იყო. მერე იყო ძალიან ლამაზი გოლი. ღიად შევუტიეთ და კონტრშეტევაზე მეორე გოლი გავუშვით. საქართველომ დამსახურებულად გაიმარჯვა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ძაღლმა ლეოპარდის თავდასხმა მოიგერია



ინდოეთის რაჯასტანის შტატის ქალაქ ჯაიპურის მახლობლად მდებარე ნაკრძალში ჩვეულებრივ ქუჩის ძაღლს ტურისტების თვალწინ თავს ლეოპარდი დაესხა.

ტურისტებიანი ავტომობილის მძღოლის თქმით, მან მანქანა დაამუხრუჭა, რათა ბუჩქებში ჩამალული მტაცებლით ყველანი დამტკბარიყვნენ.

– მოულოდნელად გზაზე ძაღლი გამოჩნდა, რომელიც კეთილი თვალებით მოგვჩერებოდა. როდესაც ჩვენი მხრიდან რეაქცია ვერ შენიშნა, მანქანის წინ მოკალათდა და ვერც კი შენიშნა, რომ იქვე ახლოს მტაცებელი იმალებოდა, – განაცხადა მანქანის მძღოლმა.

ლეოპარდი გზიდან სამი მეტრის დაშორებით ბუჩქის უკან იყო ჩამალული, შემდეგ ძალიან სწრაფად გადახტა და ძაღლს ზევიდან დაახტა.

– წამით ძაღლი გაირინდა, შემდეგ კი მტაცებელს ყეფა აუტეხა, – ყვება მძღოლი, – ლეოპარდი გარკვეული დროის განმავლობაში გაოგნებული იდგა გზის პირზე, შემდეგ კი ნელ-ნელა უკან დაიხია და ბუჩქნარში გაუჩინარდა.

# პენსიონერს ყურში ობობა ჩაუსახლდა



ჩინელმა მამაკაცმა საავადმყოფოს ყურში დისკომფორტის ჩივილით მიმართა და ექიმმა გასინჯვის შედეგად აღმოაჩინა, რომ იქ ობობა იყო ჩაბუდებული.

ყურის ექიმმა, რომელიც უჩვეულო შემთხვევის თვითმხილველი გახდა, აღიარა, რომ ასეთ მოვლენას პირველად გადააწყდა თავის ათწლიან პრაქტიკაში. ჩინეთის ლიაონინის პროვინციის ქალაქ დალიანის 60 წლის მკვიდრი საავადმყოფოში იმის გამო მივიდა, რომ ყურში უჩვეულო შეგრძნებები აწუხებდა. ამ ყოველივემ უძილობამდე მიიყვანა და ამიტომ გადაწყვიტა, დახმარებისთვის ექიმისთვის მიემართა.

ექიმმა სტანდარტული პროცედურით დაიწყო: ენდოსკოპის დახმარებით გამოიკვლია სასმენი ხვრელი და აღმოჩენამ შოკში ჩააგდო. მამაკაცის ყურში ობობა საკუთარი ქსელით გარემოცული იჯდა. მამაკაცის ყურიდან უცხო სხეულის მოშორება სწრაფად მოხერხდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# გატეხილი თეფში მთელ ქონებად შეფასდა

ლონდონის მცხოვრებისთვის ცნობილი გახდა, რომ ძველი ფაიფურის თეფში მინიმუმ 100 ათასი ფუნტი სტერლინგი ღირს. თეფში ლურჯ-თეთრი მოხატულობით 1920 წელს სოფელში ძველმანების ბაზრობაზე შეიძინეს. არც გამყიდველმა და არც მყიდველმა არ იცოდნენ ამ ნივთის ნამდვილი ღირებულება.



ერთ დროს მასზე ხილს აწყობდნენ, შემდეგ მიაგდეს და მტვრით იფარებოდა. მას მცირე ნაწილი მოსტყდა, ხოლო ემალზე ნაკაწრები გაჩნდა.

თეფშს ყურადღება მიაქცია აუქციონერმა ჩარლზ ჰენსონმა. მან მასზე მანჯურიის იმპერატორ იუნჩჟენის ნიშანი შენიშნა, რომელიც ტახტზე 1722 წელს ავიდა და სახელმწიფოს 1733 წლამდე მართავდა. ექსპერტის თქმით, ფაიფურის ანალოგიური ნაწარმი ნიუ იორკის მეტროპოლიტენ-მუზეუმსა და ტოკიოს ნეძუს მუზეუმში ინახება.

უახლოეს ხანში თეფშს აუქციონზე გასაყიდად გაიტანენ. ჰენსონი ფიქრობს, რომ მასში მინიმუმ 100 ათას ფუნტ სტერლინგს გადაიხდიან. მისი მტკიცებით, ლოტის მიმართ დიდ ინტერესს იჩენენ პოტენციური მყიდველები ჩინეთიდან.

# ასტროპროგნოზი

## 8 სექტემბრისათვის



**ვერძი** – ნებისმიერი მნიშვნელოვანი საქმე შეგიძლიათ, თამამად დაიწყოთ. ვარსკვლავები ხელს გიწყობენ. **კურო** – მშვენიერი დღეა სტუმრების მისაღებად, მეგობრებთან ურთიერთობისათვის. მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე. **ტყუპები** – მთელი ძალების მობილიზება მოახდინეთ და დაწყებული საქმე დაამთავრეთ. თავდაჯერებულობა დღის დევიზია. **კირჩხიბი** – უსიამოვნო ინფორმაცია დაგძაბავთ. ემოციები მოთოკეთ და თქვენი საქმე აკეთეთ. **ლომი** – ხანგრძლივი მოგზაურობა, ქალაქგარეთ გასვლა არასასურველია. უმჯობესია, სახლში დარჩეთ და დაისვენოთ. **ქალწული** – წარმატებული დღეა. შემოქმედებით სფეროში დასაქმებულებს ფორტუნა გიღიმით. **სასწორი** – მზარდი სასიცოცხლო პოტენციალი ჩანაფიქრის განხორციელებაში გეხმარებათ. უკან არ დაიხიოთ. **ღრიანკალი** – იყავით გულმოწყალე, არ იძუნწოთ. დაეხმარეთ ადამიანებს და თავს გაცილებით უკეთესად იგრძნობთ. **მშვილდოსანი** – პირად ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებები გელით. მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის წევრებს. **თხის რქა** – ემოციები მოთოკეთ. ახლობლებთან ურთიერთობა რთულდება. **მერწყული** – კეთილისმყოფელი დღეა ხელმძღვანელ პირებთან კონტაქტისათვის. ენერგია გემატებათ. **თევზები** – საქმიან შემოთავაზებას დაუფიქრებლად ნუ მიიღებთ. დაიტვირთეთ ფიზიკურად.

## 9 სექტემბრისათვის

**ვერძი** – სახიფათო და კრიტიკული დღეა. იფრთხილეთ, დიდია ტრავმების მიღების ალბათობა. რისკი გაუმართლებელია. **კურო** – თქვენს ყოველ მოქმედებას პასუხისმგებლობით მოეკიდეთ. ჯანმრთელობას ყურადღება მიაქციეთ. **ტყუპები** – ნუ იქნებით ზედაპირული. გულგრილობა, პირველ რიგში, თქვენვე დაგაზარალებთ. სხვისი გავლენის ქვეშ არ მოექცეთ. **კირჩხიბი** – შეხვედრებისა და კონტაქტებისათვის კეთილისმყოფელი დღეა. მეგობრების ღირსებები სათანადოდ დააფასეთ. **ლომი** – ნურაფერს დაგეგმავთ. დაუმთავრებელ საქმეებს მიხედეთ. კრიტიკაზე მტკივნეულ რეაგირებას ნუ მოახდენთ. **ქალწული** – ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. ხალხმრავლობაში ყოფნა არასასურველია. **სასწორი** – სიტუაცია ადეკვატურად შეაფასეთ. მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა. ალკოჰოლს არ გაეკაროთ. **ღრიანკალი** – ოჯახის წევრებთან ურთიერთობა გეძაბებათ. შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი მაქსიმალური თავშეკავებაა. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ხმაურიან საზოგადოებას. მოვლენებისადმი არასერიოზული მიდგომა თქვენს ავტორიტეტზე უარყოფითად იმოქმედებს. **თხის რქა** – არ გარისკოთ. ერიდეთ ხალხმრავალ ადგილებში გამოჩენას. **მერწყული** – ოჯახის წევრებთან ერთად დასვენება და გართობა ფსიქოემოციურ მდგომარეობას საგრძნობლად გამოგიკეთებთ. **თევზები** – იყავით ქველმოქმედი. თუ შესაძლებლობა გაქვთ, დაეხმარეთ ადამიანებს. გელით კარიერული წინსვლა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ეგრისის მთავარი მეექვსე საუკუნეში; 2. ღვინის მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული ფირმა; 3. ქართველი მხატვარი ქალი; 4. წვრილმანებით ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 5. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 8. ბავშვთა კვების პროდუქტების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 9. სასულიერო პირთა უმაღლესი წოდება კათოლიკურ ეკლესიაში; 12. ზღვაში წვეტად შეჭრილი ხმელეთის ნაწილი; 14. მდინარე სვანეთში; 16. ავი, ანჩხლი დედაკაცი.

**თარაზულად:** 1. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანის მეტსახელი საფრანგეთში; 6. პირველი გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის სახელწოდება; 7. კარაქის შესადღვები ძველებური მოგრძო ხის ჭურჭელი; 9. ზღვისპირა კურორტი ოჩამჩირის რაიონში; 10. ძველი ებრაული ბიბლიის სახელწოდება; 11. ყურის ექიმი; 13. მომღერალი-მუსიკოსი შუა აზიაში; 15. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 17. აზოვის ზღვის ძველი სახელწოდება; 18. ქალაქი-მუზეუმი საქართველოში; 19. ამერიკული ავიაკოსმოსური კონცერნი; 20. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. სოკერი; 2. ჰარპუნი; 3. პამპლონა; 4. ღლიღვები; 8. პერინიონი; 9. ხორნაბუჯი; 11. ბენზემა; 12. ქორო; 14. კრკა; 16. პროგრამა; 17. მონბლანი; 19. კრიშნა; 21. მერია.

**თარაზულად**: 5. კავასაკი; 6. ღრმაღელე; 7. ტარანტული; 10. ჰოპერი; 13. ხარები; 15. ფრიზერი; 18. კრეოლი; 20. ქაჯანა; 22. ჰაინიკენი; 23. ემბრიონი; 24. დილიჟანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. პურადი; 2. ზილი; 3. პოლიფონია; 4. ნიყვი; 5. გინიოლი; 8. კულუხი; 9. კატეხიზმო; 12. ბათუმი; 14. ანხელი; 16. ოძეკი.

**თარაზულად**: 1. პროვიზორი; 6. მონდრიჩი; 7. რაშკული; 9. კუმისი; 10. პინო; 11. იურისტი; 13. შხამი; 15. დარიკო; 17. ხარფუხი; 18. წულაძე; 19. ოფელია; 20. სიმონია.

## ნათია თოდუამ უნგრელ მუსიკოსთან ერთად დუეტში მეგრულად იმღერა



გერმანული „ვოისის“ გამარჯვებულმა ნათია თოდუამ უნგრელ მუსიკოს ბოტისთან ერთად მეგრულად დუეტში იმღერა. ვიდეო ინტერნეტში გავრცელდა, უამრავი ნახვა, ბევრი მოწონება და დადებითი შეფასებები დაიმსახურა.

**ნათია თოდუა:**

– მე და ბოტიმ შევასრულეთ ჩვენთვის უსაყვარლესი მეგრული სიმღერა.

ბოტი არის წარმოშობით უნგრეთიდან და ცხოვრობს გერმანიაში, როგორც ერთ-ერთი წარმატებული მუსიკოსი.

მისი სურვილი იყო, რომ ესწავლა სიმღერის ტექსტი და გვემღერა ერთად.

მადლობა მას ამ პატივისცემისათვის.

## სოფო ბათილაშვილი ბოროტებს აკრიტიკებს



„მხოლოდ ქართულის“ გამარჯვებული სოფო ბათილაშვილი ბოროტ ადამიანებს აკრიტიკებს:

– რაც არ უნდა ვარსკვლავებს ეთამაშებოდე შენს სფეროში პროფესიონალიზმით, გაუაზრებელ ბოროტებას რომ თესავ მთელი შენი ვერშეგნებული ცხოვრება, მაგით ისე ხაზი ესმევა ჩემთვის შენს პიროვნებას, რომ მერე ეგ შენი შექმნილი რაღაცაც რაღაც ისეთად მეჩვენება, რასაც საერთოდ არ მინდა მივეკარო, მოვუსმინო, შევეხო და ა.შ. იმდენად შენივე ენერგეტიკის მატარებელი და გაუფასურებულია.

ეგეთები მწეველებზე ადრე არ კვდებიან, იმათ კლავენ ნებისმიერი გაგებით, ვინც გარშემო ჰყავთ. ჩემი არამოკრძალებული აზრით, დიდი საცოდაობაა, აი, იმ კომპლექსების საკუთარ თავში ვერ შემჩნევა, რომლებიც იმის კეთებას აიძულებენ ადამიანებს, რასაც მე ვგულისხმობ.

## იტალიური შედევრები ეროვნულ მუზეუმში გამოიფინება

ლეონარდო და ვინჩის, მიქელანჯელოს, რაფაელის, ბოტიჩელის, ტიციანის და სხვა დიდი იტალიელი მხატვრების ნამუშევრების შემდეგ, საქართველოს ეროვნული მუზეუმი და იტალიის საელჩო საქართველოში 11 სექტემბრიდან გახსნის გამოფენას „ბერნინის სკოლა და რომაული ბაროკო“.





ჯოვან ლორენცო ბერნინი ბაროკოს ხელოვნების დიდი სტრატეგოსი და მისი უმაღლესი წარმომადგენელია. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში პაპების მთელი თაობის სამსახურში იყო. ის ცნობილია როგორც მოქანდაკე და არქიტექტორი, თუმცა ამავდროულად იყო ფერმწერი, სცენოგრაფი, მსახიობი და კომედიოგრაფი. მისი მრავალმხრივი ნიჭის გამოვლინებაა მდიდრული და საუცხოო დეკორაციები, რომელთა მასალის მრავალფეროვნება, ორნამენტული დეტალების სტილი და ექსპრესიულობა სახვითი ხელოვნების ყველა სახეობის სრულყოფილ ერთიანობად გვევლინება.

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში გამოფენაზე „ბერნინის სკოლა და რომაული ბაროკო“ დამთვალიერებელი გაეცნობა ბერნინისა და XVII საუკუნის სხვა იტალიელი ოსტატების შედევრებს, რომლებიც დაცულია რომის მახლობლად მდებარე რომაული ბაროკოს მუზეუმში „პალაცო კიჯი ინ არიჩა“.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება 60-მდე ნამუშევარი. მათ შორის ფერწერული და გრაფიკული პორტრეტები, ავტოპორტრეტები, პეიზაჟები, ბრინჯაოს მედლები და მედალიონი, სასახლის მორთულობები, ტყავისა და აბრეშუმის საკიდები, დეკორატიული ლამპა, საკულტო ნაგებობებისთვის განკუთვნილი დიდი ფრესკების მოსამზადებელი ესკიზები.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი შედევრები სრულყოფილად წარმოაჩენს სახვითი ხელოვნების იმ ჟანრებსა და სტილს, რომლებმაც ბაროკოს ესთეტიკა განსაზღვრა და ჩამოაყალიბა კათოლიკური ეკლესიის როგორც ზნეობრივი, ისე სულიერი საკომუნიკაციო სისტემა. ისტორიული, ალეგორიულ-რელიგიური და მითოლოგიური თემატიკის მომცველი ფერწერის გარდა, წარმოდგენილი იქნება სახასიათო ნიმუშები იმ ჟანრებისა, რომელთაც აღნიშნული ეპოქის ქტიტორები ანიჭებდნენ უპირატესობას.

გამოფენას თან ახლავს სხვადასხვა ასაკისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო პროგრამები და საჯარო ლექციები. პირველ საჯარო ლექციას გამართავს მუზეუმის „პალაცო კიჯი ინ არიჩა“ დირექტორი ფრანჩესკო პეტრუჩი.

იტალიური შედევრების გამოფენა ეროვნულ მუზეუმში 25 ნოემბრამდე გაგრძელდება.

## პეტრე კოლხი პაოლო იაშვილისთვის წესის აგებით ამაყობს

– თუ რამე სასიკეთო ჩამიდენია წლების მანძილზე, თუ რამე ღირსეული ნაბიჯი გადამიდგამს, ,,თვითმკვლელი“ პაოლო იაშვილისთვის წესის აგებაა... – აცხადებს მამა პეტრე (კვარაცხელია):

– ვისაც წიგნი წაუკითხავს, ვინც იცის, რა იყო შემოქმედი ადამიანისთვის მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის სისხლისმსმელი ეპოქა, ყველა მარტივად მიხვდება, რომ პაოლო და მისნაირი ღირსეული ადამიანები რეჟიმს ემსხვერპლნენ...

გენიოსი პოეტის უკანასკნელი წერილი შვილისადმი, ცხადყოფს მის პიროვნულ დრამას... მას უჭირს საკუთარ ქალიშვილთან განშორება, მაგრამ სხვა გზა არ დაუტოვეს... მძინარეს ესაუბრება, ასე რომ არ მოვიქცე, გაიზრდები და შეგრცხვება, რომ ჩემი შვილი ხარო...

დაუნდობელმა, შეუბრალებელმა დრომ მიიყვანა პაოლო ამ ნაბიჯამდე...

როგორც ვატყობ, ქრისტეს სახელით მოლაპარაკეები დღემდე იმ რეჟიმს განეკუთვნებიან, რომელმაც უამრავი მართალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა...

ასეთები ვისგან იცავენ ქრისტიანობას?! ჩემგან?! უწმინდესისგან, რომელმაც ეს ყველაფერი გაითვალისწინა და ძალიან ღირსეული ნაბიჯი გადადგა?! პაოლოსგან?! თუ კიდევ



გულწრფელი ადამიანებისგან...

ყველაზე სამართლიანი იქნებოდა, ქრისტე და მისი მოძღვრება, საკუთარი სიბნელისგან, უწიგნურობისგან, უსიყვარულობისგან, აგრესიისგან და ბოღმისგან დაეცვათ...

პაოლოს იმ ხალხმა ესროლა ტყვია, ვინც ნებსით თუ უნებლიეთ ამ მდგომარეობამდე მიიყვანა... ასეთები დღესაც ბოგინობენ...

დიახ, ,,თვითმკვლელი“ პოეტი პაოლო იაშვილი მირჩევნია, სულით ფაქიზი ადამიანების თვითმკვლელობამდე მიმყვანებელ მრისხანე ,,მართლმადიდებლებს“!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## სამგლოვიარო განცხადებები

### მამულს მოაკლდა მამულიშვილი



დაგვიდგა უმძიმესი სამგლოვიარო ჟამი ცხოვრების მიმწუხრზე. წავიდა ამქვეყნიური ცხოვრებიდან ჩვენი სიყრმის მეგობარი, ჩვენი ძმობის ურყევი ბურჯი, ვაჟკაცობის, სიმართლის, ერთგულების, სიყვარულისა და სიკეთისგან ნაზავ-ნაგვირისტები დიდი მამულიშვილი, პედაგოგი, სახელოვანი ფალავანი, მეუღლე, მამა და ბაბუა, მითაჟამიდან მომდინარე ტრადიციული ქართულ-აფხაზური ოჯახის შემოქმედი

### გიორგი (ჟორა) დავითის ძე ჩანქსელიანი

ჩვენ სოხუმის გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩამოვყალიბდით მამულიშვილებად 1958-1963 წლებში. ჟორა იყო უდავოდ ყველასგან გამორჩეული – დიდებულად ჩამოსხმული, სვანეთის მთებივით გოროზი, ენგურივით ულევი ენერგიის პატრონი, მაგრამ ადამიანებთან მიმართებაში წყნარ ამინდში პონტოს ზღვასავით მოლამუნე და მშვიდი.

მას არაფერი ეშლებოდა სამშობლოსთან, მეგობრებთან, კაცთან და ქალთან, ბავშვთან და მოხუცთან, მოსწავლეებთან და კოლეგებთან. იგი გამოირჩეოდა არა მარტო განსწავლულობითა და სიბრძნით, არამედ პირადი მაგალითით, სიკეთის თესვით, თავისი შეუვალობით, როცა გვერდით დაუდგებოდა სუსტსა და მიუსაფარს. სახელოვანი ფალავანი არასდროს აცუნდრუკებულა ტატამზე გამარჯვებული! ღიმილად იღვრებოდა და ეფერებოდა დამარცხებულს, ასწავლიდა გამარჯვებას, უნერგავდა რწმენას.

უსაზღვროა ქალბატონ ნუსიას მწუხარება, შვილებისა და შვილიშვილების დარდი! მაგრამ არანაკლებ დამთრგუნველია ჩვენი დიდი წუხილი – ჩვენ ხომ დედაბოძი გამოგვეცალა. წავიდა ჩვენგან ჩვენი დიდი ჭირისუფალი და დამტირებელი!

გაგვიმეჩხერდა, მამულს მოაკლდა მამულიშვილი!

**გული ზუხბაია, მურმან ვახანია, რაჟდენ ქარდავა, ზურაბ ბუკია**

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

## გიორგი კალანდია ოთარ იოსელიანს არ ეთანხმება



მას შემდეგ, რაც 84 წლის რეჟისორმა ოთარ იოსელიანმა განაცხადა, თბილისი ყოველთვის სომხური ქალაქი იყოო, განცხადებამ უამრავი ადამიანი გააღიზიანა.

რეჟისორის განცხადებას კატეგორიულად არ ეთანხმება ისტორიკოსი გიორგი კალანდია:

– მიუხედავად დიდი პატივისცემისა, ძალიან შევედავები ბატონ ოთარს, ყოველთვის არა!

არც ვახტანგ გორგასლის დროს, არც დავითის, არც თამარის, გიორგი ბრწყინვალის დროსაც არა!

მე-19 საუკუნეში კი ნამდვილად იყო, ოღონდ მე-19 საუკუნე ყოველთვის არაა, თბილისი 1500 წლისაა, ბატონო ოთარ!

**კალეიდოსკოპი**

## სტუდენტებმა საკუთარი ფოტო „მაკდონალდსში“ გამოფინეს

ტეხასელი სტუდენტები აღაშფოთა იმ ფაქტმა, რომ ადგილობრივ „მაკდონალდსში“ არ იყო პოსტერები აზიელების გამოსახულებით და რესტორანში პლაკატი საკუთარი გამოსახულებით მალულად ჩამოკიდეს. აღნიშნული ინფორმაცია ტვიტერში საკუთარ გვერდზე პოსტერის ერთ-ერთმა ავტორმა განათავსა. ორმა ახალგაზრდამ გადაწყვიტა, სურათები იმავე სტილში გადაეღოთ, როგორებითაც იყო გაფორმებული ამ ქსელის რესტორნები. მათ მოიძიეს რესტორნის თანამშრომლების ფორმები, დაელოდნენ შესაფერის მომენტს და პლაკატი ერთადერთ თავისუფალ კედელზე გააკრეს.



ფილიპინელ ჯევხა მარავილის მტკიცებით, ფოტო თვე-ნახევარი ისე ეკიდა, ეჭვიც არავის მოსვლია, რომ ის მათი თვითშემოქმედების ნაყოფი იყო.

როდესაც რესტორნის ხელმძღვანელობის ეს ყოველივე ცნობილი გახდა, ოფიციალური განცხადება გააკეთა. მასში აღნიშნულია, რომ კომპანიას ეამაყება ის ფაქტი, რომ „ხაზს უსვამს მრავალფეროვნებას ნებისმიერ ასპექტში“ მის დაწესებულებებში.

– ჩვენ ტაშს ვუკრავთ ამ სტუდენტებს, – განაცხადეს კომპანიის ხელმძღვანელებმა.

## მყვინთავმა ვეფხვისებური ზვიგენი ტრანსში ჩააგდო

ბაჰამის კუნძულებზე მყვინთავმა ვეფხვისებური ზვიგენი მისი თანამოძმეების თვალწინ ტრანსში ჩააგდო. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეორგოლი ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ეს ილეთი მყვინთავმა ლი კობმა შეასრულა. თავდაპირველად მან ხუთმეტრიანი ვეფხვისებური ზვიგენი, სახელად ემა, თევზით დაანაყრა, შემდეგ კი ტრანსის მდგომარეობაში გადაიყვანა. მყვინთავმა მტაცებელი ფრთხილად გადაატრიალა თავით ქვევით, ამის შემდეგ კი თევზი გონს მოვიდა და გაცურა. მის თანამოძმეებს მომხდარზე რეაგირება არ მოუხდენიათ.

ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო 41 წლის ეკვადორელმა ფოტოგრაფმა და ყვინთვის ინსტრუქტორმა კრისტიან ტორესმა გადაიღო.

ამ მოვლენის განმარტებისას გამოცემა აღნიშნავს, რომ მყვინთავმა ზვიგენი ტანატოზის მდგომარეობაში გადაიყვანა. ეს არის ერთგვარი თავდაცვითი რეაქცია, რომლის დროსაც ზოგიერთი ცხოველი, მაგალითად, ოპოსუმი თავს იმკვდარუნებს, სანამ საფრთხე არ გაივლის.



**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**8 სექტემბრისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.6165 | ევრო — 3.0323 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3554 | 100 რუსული რუბლი — 3.8307 |

**ამინდის პროგნოზი 8 სექტემბრისთვის**




## კიმ კარდაშიანმა ახალგაზრდობის სურათი წარმოადგინა



რეალიტი-შოუს „კარდაშიანების ოჯახის“ მონაწილე კიმ კარდაშიანმა საკუთარ თაყვანისმცემლებს წარუდგინა ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილია, თუ როგორ გამოიყურებოდა ის 20 წლის წინ. ფოტოსურათი ტელევარსკვლავმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

1998 წელს კიმმა სურათი საკუთარ მამასთან, რობერტ კარდაშიანთან ერთად გადაიღო.

– მაშინებს იმის წარმოდგენა, თუ როგორი რეაქცია ექნებოდა მამაშენს იმაზე, თუ რას დაამსგავსე მისი გვარი, – დაწერა კომენტარებში კარდაშიანის ზოგიერთმა ხელისმომწერმა.

თუმცა უმრავლესობის ყურადღება კიმ კარდაშიანის სახის ცვლილებებმა მიიქცია. მათ შენიშნეს, რომ იმ დროს მას სულ სხვანაირი ნაკვთები და წვრილი სამკუთხა წარბები ჰქონდა.

– შენ მას შემდეგ ძალიან შეიცვალე. ცხვირი, ტუჩები და ნიკაპი ახლა სრულიად განსხვავებული გაქვს! ცხვირისა და ტუჩების პლასტიკა გაქვს გაკეთებული? – დაწერეს სხვებმა კომენტარებში.

– ადრე შენი წარბები, ტუჩები, თმები, ცხვირი და მთლიანად სხეული უმშვენიერესი იყო! შენ მაშინ ულამაზესი იყავი, – წერდნენ მეორენი.

## ბრიტანელმა პატარძლის ნასროლი თაიგულის დამჭერი მეგობრისგან თავს გაქცევით უშველა



ბრიტანელი მას შემდეგ გაიქცა ქორწილიდან, როდესაც მისმა მეგობარმა ქალმა პატარძლის მიერ ნასროლი თაიგული დაიჭირა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლი სექტემბრის პირველ დღეს ნორტჰემპტონშირის საგრაფოს ქალაქ კეტერინგში ჩელსი და მეთ ბესტების ქორწილში იქნა გადაღებული. ქორწილის სტუმრებისკენ ზურგით მდგომმა პატარძალმა თაიგული ხელუკუღმა ისროლა. ყველაზე მოხერხებული აღმოჩნდა რეიჩელ ბესლი. ყვავილები მან დაიჭირა და საზეიმოდ აღმართა თავს ზევით. როგორც კი თაიგული მის ხელში აღმოჩნდა, მისი მეგობარი მამაკაცი უკანმოუხედავად გაიქცა, რამაც დამსწრეთა სიცილი გამოიწვია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

შვილი მამას ეკითხება:

– მამა, მართალია, რომ აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში სასიძომ არ იცის, ვის ირთავს ცოლად, სანამ არ დაქორწინდებიან?

– ეგ ნებისმიერ ქვეყანაში მასეა, შვილო!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ბავშვისთვის სათამაშოებს შენ თვითონ რატომ არ ყიდულობ?

– იმიტომ, რომ კოლოფებზე წარწერა „3-დან 5 წლამდე“ ჩემში უსიამოვნო მოგონებებს აღვიძებს.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ გივის საქმის გარჩევის დროს თავში რვა ტყვია დაახალეს.

– მერე?

– ექიმმა თქვა, იცოცხლებსო, ტვინი არ დაზიანებულა.

●●●

ორი ახლობელი ზოოპარკში გორილას გალიასთან დგას. ერთი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, ამას რატომ აქვს ასეთი განიერი ცხვირის ნესტოები?

– ვერ ხედავ, როგორი სქელი თითები აქვს?

●●●

ორ მეგობარს მოგზაურობის დროს უამინდობის გამო ღამის გათევა მდიდარი ქვრივის სახლში მოუხდა. ცხრა თვის შემდეგ ერთ-ერთი ქვრივის ადვოკატისგან წერილს იღებს და მაშინვე მეგობარს ურეკავს:

– გახსოვს, მოგზაურობის დროს ღამე ერთი მდიდარი ქვრივის სახლში გავათიეთ?

– ჰო, მახსოვს. მერე?

– გახსოვს, ღამით რამდენჯერმე რომ შეხვედი მის საწოლ ოთახში და მერე როგორ იკვეხნიდი, რომ განუმეორებელი სექსი გქონდა მასთან?

– ჰო... მახსოვს... და რა?

– შენ რა, საკუთარის მაგივრად ჩემი სახელი უთხარი?

– მმმ... ჰო... რა, ბავშვი ეყოლა?

– არა, შეგიძლია, მომილოცო!... ქვრივი გარდაიცვალა და მთელი თავისი ქონება მე მიანდერძა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.



**ანშენ ბუსინ ვან**




უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

**სიაო ჰუო ლუო დან**




რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


## ტონი კროოსი: „საფრანგეთთან უნდა მოგვეგო“



ერთა ლიგამ სტარტი აიღო და პირველივე ტურში ერთმანეთს გერმანიის და საფრანგეთის ნაკრებები დაუპირისპირდნენ. შეხვედრა მიუნხენში გაიმართა და ფრედ 0:0 დასრულდა. მატჩის შემდეგ გერმანელების ერთ-ერთმა ლიდერმა ტონი კროოსმა განაცხადა, რომ მისი გუნდი გამარჯვებას იმსახურებდა:

– ვფიქრობ, რომ კარგად ვითამაშეთ და საკმაოდ ბევრი მომენტი შევქმენით მეტოქის კართან. დასანანია, რომ გამარჯვება ვერ მოვახერხეთ, მაგრამ თამაშით მაინც კმაყოფილი ვარ. რაც მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხდა, ეს მხოლოდ შემთხვევითობა იყო.

## ნეიმარი ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი გახდა



ბრაზილიის ნაკრების ახალი კაპიტანი ნეიმარი იქნება, რომელიც ამ პოზიციაზე ტიაგო სილვას შეცვლის. ეს ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ტიტემ, რომლის თქმითაც, ნეიმარი მორალურად გაიზარდა და მას შეუძლია ბრაზილიის ნაკრებს უკაპიტნოს.

ამ თემაზე ნეიმარმაც ისაუბრა და თქვა, რომ მისთვის ეს დიდი პატივია და მას კარგად ესმის, რა პასუხისმგებლობა აქვს კაპიტანს.

ნეიმარი ორი წლის წინ უკვე იყო ნაკრების კაპიტანი, მაგრამ მაშინ მას კაპიტნობა ჩამოართვეს და ტიაგო სილვას გადასცეს.

## უესლი სნეიდერმა სანაკრებო კარიერა დაასრულა



უესლი სნეიდერმა ჰოლანდიის ნაკრებში კარიერა დაასრულა. ბოლო შეხვედრა სნეიდერმა პერუს წინააღმდეგ გამართა, რომელშიც მისმა გუნდმა 2:1 მოიგო.

სნეიდერმა განაცხადა, რომ მას ასაკი ხელს აღარ უწყობს, რომ მაღალ დონეზე ითამაშოს. ჰოლანდიის ნაკრებში სნეიდერმა 134 შეხვედრა ჩაატარა და 31 გოლის გატანა შეძლო. 2010 წელს ჰოლანდიელები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გავიდნენ, სადაც ისინი ესპანეთთან დამარცხდნენ. სნეიდერი მაშინ ჰოლანდიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იყო

## ივან რაკიტიჩი: „ლუკა მოდრიჩი მსოფლიოში საუკეთესოა“

ბარსელონას ხორვატმა ნახევარმცველმა ივან რაკიტიჩმა თავის თანამემამულე ლუკა მოდრიჩზე ისაუბრა და თქვა, რომ ის მსოფლიოში საუკეთესოა. რაკიტიჩის აზრით, მოდრიჩი ყველანაირ ინდივიდუალურ პრიზს იმსახურებს.

– მოდრიჩი თავის პოზიციაზე მსოფლიოში საუკეთესოა და ხორვატიის ნაკრებს გაუმართლა, რომ ასეთი ფეხბურთელი გვყავს. ვინც მოდრიჩს აკნინებს, მას უბრალოდ არ ესმის ფეხბურთი. ლუკამ ყველა თავისი ჯილდო დაიმსახურა, – განაცხადა რაკიტიჩმა.



**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. თოჯინა „ბარბის“ მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 2. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული ბრიტანული საშობაო კერძი; 3. შთამომავლის, ნათესავის ძველი ქართული სახელწოდება; 4. კამათის, პოლემიკის წარმართვის ხელოვნება; 8. წყალქვეშა ნავის მეორე სახელწოდება; 9. ხილის წვენების პიურესგან მომზადებული ტკბილეული; 11. იტალიური ვერმუტი; 12. იაპონური ხის ფეხსაცმელი; 14. ჯიხვების ჯოგი; 16. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 17. უდაბნო აფრიკის სამხრეთში; 19. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 21. ალალბედზე მოქმედება.

**თარაზულად:** 5. მოხალული სიმინდი; 6. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 7. მრავალი ენის მცოდნე ადამიანი; 10. გურულების, აჭარლებისა და მესხების მოკლე ჩოხა; 13. ერთი მსახიობის თეატრი თბილისში; 15. ელექტროძრავის უძრავი ნაწილი; 18. ქართული რადიო; 20. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 22. რელიგიური ცენტრი სომხეთში; 23. ჭადრაკის პარტიის ბოლო სტადია; 24. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

